

# ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი შპმ თემის გამოცდილება

წვდომა სოციალური დაცვის მექანიზმებზე



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი



# ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი შშმ თემის გამოცდილება

*წვდომა სოციალური დაცვის მექანიზმებზე*

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2022



დოკუმენტი მომზადებულია ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით, მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას.

**ხელმძღვანელი:** თამთა მიქელაძე

**მკვლევარი:** მარიამ ჯანიაშვილი

**კვლევის ასისტენტი:** აითაჯ ხალილი

**რედაქტორი:** მედეა იმერლიშვილი

**ყდის დიზაინი:** სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

*ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მარიამ ჯანიაშვილი, „ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი შშმ თემის გამოცდილება - წვდომა სოციალური დაცვის მექანიზმებზე“, 2022*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

**მისამართი:** ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

**ტელ:** +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

**სარჩევი**

**შესავალი..... 4**

**მეთოდოლოგია..... 5**

**1. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირთა წვდომა სერვისებზე - ძირითადი სტანდარტები..... 6**

    1.1. საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა..... 7

    1.2. რელევანტური ეროვნული სტანდარტები ..... 14

**2. შშმ პირების წვდომა სერვისებზე - ზოგადი კონტექსტი..... 20**

**3. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების წვდომა სერვისებზე - გამოწვევები ქვემო ქართლში ..... 22**

**3.1. ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებზე წვდომის სისტემური გამოწვევები - ძირითადი კონტექსტის აღწერა ..... 23**

        3.1.1 რელევანტური სტატისტიკური მონაცემების არარსებობა.....23

        3.1.2 სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა .....26

        3.1.3. ინფორმირების ნაკლებობა და თემის მონაწილეობის არარსებობა .....28

**3.2. წვდომა ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებზე - ძირითადი ტენდენციები ..... 33**

        3.2.1. შშმ პირის სტატუსის მინიჭება - პროცესში არსებული გამოწვევები .....33

        3.2.2. წვდომა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამაზე .....37

        3.2.3. წვდომა დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებზე.....41

**დასკვნა და ძირითადი მიგნებები..... 44**

**რეკომენდაციები..... 48**

## შესავალი

საქართველოში არსებული სოციალური დაცვის სისტემა, წლებია, უკიდურესად ხარვეზიანია და ვერ უზრუნველყოფს მთელი რიგი ჯგუფების მოცვასა და მათ რეალურ გაძლიერებას, სიღარიბის აღმოფხვრასა და თავიდან არიდებას. სახელმწიფოს უმოქმედობის გამო, სოციალურ-ეკონომიკურად მოწყვლადი მოსახლეობის წინაშე არსებული სისტემური გამოწვევები უცვლელი რჩება და მთავრობის დაუყოვნებელ რეაგირებას ითხოვს.

სოციალური დაცვის სისტემის ჩავარდნები ყველაზე მწვავედ ერთი ან რამდენიმე მოწყვლადობის მქონე პირებზე აისახება. ისინი სახელმწიფოს სრული ან ნაწილობრივი უგულებელყოფის პირობებში ცხოვრობენ და ყოველდღიურად უწევთ ისეთ გამოწვევებთან გამკლავებას, როგორცაა, სერვისებზე გეოგრაფიული, ფინანსური, ფიზიკური წვდომა, მომსახურებების ხარისხი, სერვისების არასაკმარისობა, მომსახურებების დაგეგმვისა და განხორციელებისას ცალკეული ჯგუფების საჭიროებების უგულებელყოფა და სხვ.

შშმ პირების სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობა და შესაბამის სერვისებზე მათი წვდომა მწვავე პრობლემად იკვეთება როგორც საქართველოში, ისე გლობალურად.<sup>1</sup> მსოფლიოს მასშტაბით არაერთი სახელმწიფო მიმართავს სოციალური პოლიტიკის ღონისძიებებს, რომლებიც ამ ჯგუფის წარმომადგენელთა საჭიროებების გამოვლენისა და შესაბამისი მხარდამჭერი სერვისების ჩამოყალიბების ან/და განვითარებისკენ არის მიმართული და რომელთა მიზანია იმ უთანასწორობის აღმოფხვრა, რომელიც შშმ პირებსა და საზოგადოების დანარჩენ წევრებს შორის არსებობს.<sup>2</sup>

მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები მოწყვლადობის დამატებითი ნიშნების გარეშეც სოციალურ იერარქიაში აუტსაიდერებად - საზოგადოებისაგან ერთ-ერთ ყველაზე გარიყულ და უგულებელყოფილ ჯგუფად, რჩებიან.<sup>3</sup> დისკრიმინაციული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის გამო, მათ ხშირად არ მიუწვდებთ ხელი მათთვის უმნიშვნელოვანეს სერვისებსა და მომსახურებებზე, მოკლებულნი არიან მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სრულად და დაუბრკოლებლად სარგებლობის შესაძლებლობას და განსაკუთრებით მოწყვლადნი ხდებიან სიღარიბის მიმართ.<sup>4</sup> თუმცა, არსებითია, რომ ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფის დისკურსი გასცდეს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს და მოიცვას ეფექტიანი პოლიტიკური და ინსტიტუციური მექანიზმები, მათ შორის, პოზიტიური ღონისძიებები, ორმაგი ან მრავალი მოწყვლადობის მქონე პირების დაცვისაკენ

<sup>1</sup> Report of the independent expert on the question of human rights and extreme poverty, A/63/274, 2008, პარა. 40.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/70/297, 2015.

<sup>3</sup> Report of the independent expert on the question of human rights and extreme poverty, Arjun Sengupta, E/CN.4/2005/49, 2005, პარ. 14; Report of the independent expert on the question of human rights and extreme poverty, Arjun Sengupta, A/HRC/7/15, 2008, პარა. 28.

<sup>4</sup> Report of the independent expert on the question of human rights and extreme poverty, A/63/274, 2008, პარა. 20, 31; OHCHR, Guiding Principles on Extreme Poverty and Human Rights, 2012, გვ. 3.

მიმართული ზომები, ასევე, ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო და მონაწილეობითი მექანიზმები და პროცესები.<sup>5</sup>

სოციალური პოლიტიკის ჩავარდნები კიდევ უფრო მწვავედ აისახება ორმაგი ან მრავალი მოწყვლადობის მქონე შშმ პირებზე, მათ შორის არიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებიც.<sup>6</sup> მათ წინაშე სერვისებზე წვდომის პრობლემები კიდევ უფრო ცხადი ხდება ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებით, რომელსაც მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, ნაკლები ბმა აქვს მოსახლეობასთან და მათი საჭიროებების შესახებ ცოდნის დონეც შედარებით დაბალია.

ზემოაღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე, მოცემული კვლევის მიზანია, გამოავლინოს ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირები დგანან ცენტრალური ხელისუფლების დონეზე არსებული სოციალური დაცვისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობ მექანიზმებზე წვდომის ნაწილში და მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები. ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებისა და არსებული ჩავარდნების ეფექტიანად გამოსავლენად, კვლევის არეალი დავიწროვდა და ფოკუსირება ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ შშმ პირებზე მოხდა. მიუხედავად ამისა, არსებული პრობლემები, მათი სისტემური და კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებითაც აქტუალურია.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი იმედოვნებს, რომ კვლევის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები როგორც შშმ თემის, ისე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებსა და მათ უფლებებზე მომუშავე სუბიექტებს მისცემს ადვოკატირების კიდევ ერთი მიმართულებით წარმართვის შესაძლებლობას. ამასთანავე, გამოვლენილი პრობლემების შინაარსისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მოუწოდებთ სახელმწიფო უწყებებს, მიიღონ შესაბამისი ღონისძიებები უმოკლეს ვადებში მათ აღმოსაფხვრელად.

## მეთოდოლოგია

კვლევამ შეისწავლა ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი შშმ პირების წვდომა ცენტრალური ხელისუფლების დონეზე არსებულ შემდეგ მექანიზმებზე:

- შშმ პირის სტატუსის მინიჭების პროცედურები;
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა და მასში არსებული სერვისები;
- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა და მასში არსებული მომსახურებები.

კვლევით განსაზღვრული საკითხების შესასწავლად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

<sup>5</sup> Report of the Independent Expert on Minority Issues, A/67/293, 2012, პარა. 14.

<sup>6</sup> Report of the independent expert on minority issues, Gay McDougall, A/HRC/13/23, 2010, პარა. 56.

- სამაგიდო კვლევა, რომელმაც თავის თავში მოიცვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კონტექსტის ანალიზი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების (როგორც „მყარი“, ისე „რბილი“ სამართლის ნორმების), ადგილობრივი კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტების, სერვისების შინაარსის, მეორადი წყაროების შესწავლის გზით. სამაგიდო კვლევის ფარგლებში ასევე გაანალიზდა საჯარო ინფორმაცია, რომელიც ორგანიზაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოაწოდა;
- ინდივიდუალური ინტერვიუები საკითხზე მომუშავე უწყებების წარმომადგენლებთან, კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთან;
- ფოკუს ჯგუფი ქვემო ქართლის რეგიონში მომუშავე სოციალურ მუშაკებთან, რომელთაც აქვთ შშმ პირებთან, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებთან მუშაობის გამოცდილება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გასაუბრებამ მოიცვა ის სოციალური მუშაკები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, კერძოდ, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში არიან დასაქმებულნი. ჯამში გავესაუბრეთ 6 სოციალურ მუშაკს;
- ფოკუს ჯგუფები ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ შშმ პირებთან, ასევე, მათი ოჯახის წევრებთან. კვლევის ფარგლებში გავესაუბრეთ მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ 16 პირს.

კვლევის ფოკუსიდან გამომდინარე, მოცემული პროცესის ფარგლებში მხოლოდ სერვისებზე წვდომა შეფასდა, თუმცა, ინდივიდუალური ინტერვიუებისა და შშმ თემთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების, ასევე სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული არაერთი კვლევის საფუძველზე, ნათლად ჩანს ის დამატებითი ხარვეზებიც, რაც ცენტრალურ თუ მუნიციპალურ დონეზე არსებული სერვისების შინაარსსა და მიწოდებასთან დაკავშირებით არსებობს და რომელთა აღმოფხვრაც მეტად მნიშვნელოვანია ათიათასობით ადამიანის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

## 1. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირთა წვდომა სერვისებზე - ძირითადი სტანდარტები

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირები, თავიანთი ორმაგი ან მრავალჯერადი მოწყვლადობის გათვალისწინებით, გლობალურად ერთ-ერთი ყველაზე უხილავი და დისკრიმინირებული ჯგუფია. სტიგმა, გარიყვა, სერვისებზე ნაკლები წვდომა - ეს იმ გამოწვევათა არასრული ჩამონათვალია, რომელთა წინაშეც ისინი ყოველდღიურად დგებიან. პრობლემები უფლებების რეალიზებაში განსაკუთრებულად უარყოფითად მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მოქმედებს. არაერთი საერთაშორისო მექანიზმი მიუთითებს, რომ ეთნიკური

უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებისა და მათი ოჯახების სიღარიბეში ცხოვრების რისკები, ასევე, ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის მაჩვენებლები, დიდია,<sup>7</sup> რის გამოც აუცილებელია სამართლიანი და ინკლუზიური სოციალური პოლიტიკის უზრუნველყოფა, რომელიც უპასუხებს სოციალური დაცვის ჩავარდნებს და პროგრამებს ადამიანების ინდივიდუალურ საჭიროებებს მოარგებს.<sup>8</sup>

სხვადასხვა ტიპის სერვისებთან შშმ პირთა წვდომის სფეროში არაერთი რელევანტური საერთაშორისო სტანდარტი არსებობს, რომელიც დეტალურად აღწერს მომსახურებებზე წვდომის (მათ შორის, **ენობრივი**, გეოგრაფიული, ფინანსური და ფიზიკური წვდომის) მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულებებს. ამასთანავე, საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მიუთითებს შშმ პირთა მიმართ ნებისმიერი სახის პოლიტიკის ფორმირებისა თუ განხორციელების პროცესში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებაზე. ამგვარი მიდგომა, სხვა პრინციპებთან ერთად, მოიცავს შშმ პირების ორმაგი ან მრავალმხრივი მოწყვლადობის გათვალისწინებასა და სხვადასხვა ჯგუფის მრავალფეროვანი საჭიროებების ასახვას კანონმდებლობაში, პოლიტიკასა თუ პრაქტიკაში.<sup>9</sup>

### 1.1. საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების სერვისებზე დაუბრკოლებელი წვდომის საკითხებს რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტი ეხება, რომელიც განმარტავს ამ მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულებების შინაარსსა და ხასიათს. მათ შორისაა, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ასევე, ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ. შშმ პირებთან და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით არაერთი არსებითი სტანდარტია მოცემული გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და 2030 წლის დღის წესრიგში, რომელიც უთითებს ყველა ადამიანის გაძლიერებისა და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინკლუზიის ხელშეწყობის აუცილებლობაზე, მიუხედავად სხვადასხვა ჯგუფისადმი მიკუთვნებულობისა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური სტატუსისა.<sup>10</sup>

ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან სტანდარტს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია ადგენს. ინსტრუმენტი არ მოიცავს ცალკე მდგომ დებულებებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებთან მიმართებით, თუმცა პრეამბულაშივე აღნიშნავს იმ შემაშფოთებელ სიძნელებებსა და დისკრიმინაციას, რასაც შშმ პირთა თემი აწყდება სხვადასხვა

<sup>7</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Kenya, CRPD/C/KEN/CO/1, 2015, პარა. 49; Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Slovakia, CRPD/C/SVK/CO/1, 2016.

<sup>8</sup> Report of the independent expert on the question of human rights and extreme poverty, Magdalena Sepúlveda Carmona, Mission to Viet Nam, A/HRC/17/34/Add.1, 2011, პარა. 101.

<sup>9</sup> *ib.* Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016.

<sup>10</sup> 2030 Agenda for Sustainable Development, Target 10.2, <https://bit.ly/3DVS2kD>.



კუთვნილების, მათ შორის, ეთნიკური წარმომავლობის, გამო. კონვენციის პარალელურად, საერთაშორისო დონეზე არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტები და მექანიზმები ასევე ამახვილებენ ყურადღებას იმ მრავალმხრივ დისკრიმინაციასა და ინტერსექციურ ჩაგვრაზე, რომლის წინაშეც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირები დგანან და სახელმწიფოს მოუწოდებენ, მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და პოლიტიკის ღონისძიებები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი სხვების თანასწორად სარგებლობდნენ ნებისმიერი უფლებითა და თავისუფლებით.<sup>11</sup> მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ინტერსექციურ დისკრიმინაციაზე საუბრისას საერთაშორისო მექანიზმები განსაკუთრებით გამოყოფენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ ქალებსა და ბავშვებს, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთ ყველაზე უგულვებელყოფილ და მოწყვლად ჯგუფს, რომელთა მიმართაც არსებითაა ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება.<sup>12</sup>

- *სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა*

შშმ პირთა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირთა, საზოგადოების დანარჩენი ნაწილის თანასწორად საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის, ასევე, უფლებებითა და თავისუფლებებით შეუფერხებელი სარგებლობისათვის სახელმწიფოთა მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები მრავალგვარია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შშმ პირებისათვის:

- ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე, ასევე, საჯარო ობიექტებსა და მომსახურებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა როგორც ქალაქად, ისე სოფლად;
- დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობ მომსახურებებსა და დამხმარე საშუალებებზე წვდომის უზრუნველყოფა;
- დასაქმებაზე, სოციალური დაცვისა და სიღარიბის აღმოფხვრის სერვისებზე, რეაბილიტაციისა და აბილიტაციის მომსახურებებზე წვდომის გარანტირება.<sup>13</sup>

ზემოაღნიშნულ სერვისებსა და პროგრამებზე წვდომის მიმართულებით სახელმწიფოებისთვის დაკისრებული ვალდებულებების შინაარსი ნებისმიერ შშმ პირთან მიმართებით ანალოგიურია. **კერძოდ, მხარდამჭერი სერვისები უნდა იყოს საკმარისი, მისაწვდომი და ფინანსურად**

<sup>11</sup> მაგალითად, იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Poland, CRPD/C/POL/CO/1, 2018, პარა. 8; Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Turkey, CRPD/C/TUR/CO/1, 2019, პარა. 12.

<sup>12</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 3 (2016) on women and girls with disabilities, CRPD/C/GC/3, 2016, პარა. 4; Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of the Philippines, CRPD/C/PHL/CO/1, 2018, პარა. 17.

<sup>13</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 2006, მ. 9, 19, 26-28; Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 18: The Right to Work, E/C.12/GC/186, 2006, პარა. 17, 23; OHCHR, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Article 9: Illustrative indicators on accessibility, <https://bit.ly/3eJZoi2>; 2030 Agenda for Sustainable Development, Targets 8.5, 10.2, <https://bit.ly/3DVS2kD>.

ხელმისაწვდომი, მისაღები და ადაპტირებადი ყველა შშმ პირისთვის<sup>14</sup> და გაითვალისწინოს მათი ცხოვრების განსხვავებული პირობები, მათ შორის, ეთნიკური და ლინგვისტური კუთვნილება.<sup>15</sup> ამასთანავე, მისაწვდომობის კონცეფციის თანახმად, სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს სერვისის ფიზიკური გარემოს, ხოლო, მეორე მხრივ, მომსახურების გეოგრაფიული, ფინანსური და ინფორმაციული მისაწვდომობა.<sup>16</sup>

დამატებით, აღსანიშნავია, რომ შშმ პირთა მიმართ პოლიტიკის ნებისმიერი ღონისძიების, მათ შორის, სერვისების დაგეგმვის დროს, სახელმწიფოს მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ამ ჯგუფის წარმომადგენლების ინდივიდუალურ საჭიროებებს, რომელიც თავის მხრივ, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციისეულ სოციალურ მოდელს ეფუძნება. ძალაში შესვლის შემდგომ კონვენციამ მთლიანად შეცვალა შშმ პირთა მიმართ არსებული პარადიგმები და მიუთითა, რომ პოლიტიკამ მხედველობაში უნდა მიიღოს არა მხოლოდ ადამიანების სამედიცინო დიაგნოზები, არამედ ის ბარიერები, რომელთა წინაშეც შშმ პირები დგანან და რომლებიც ხელს უშლის მათ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაბამისად, ნებისმიერი პროცედურა, რომელიც შშმ პირის სტატუსის დადგენას უზრუნველყოფს, სრულად უნდა იყოს მისადაგებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან და ყველასათვის უნდა იყოს მისაწვდომი, მიუხედავად პირის საჭიროებისა და საცხოვრებელი ადგილისა.<sup>17</sup>

- ენობრივი ბარიერები და სახელმწიფოს შემხვედრი ვალდებულებები

სერვისებზე ინფორმაციული წვდომა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებისათვის განსაკუთრებულ ბარიერად უნდა ჩაითვალოს, რაც მათ საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან შედარებით მკვეთრად არათანაბარ პირობებში აყენებს.<sup>18</sup> ენობრივი ბარიერები და სახელმწიფოს შემხვედრი ვალდებულებები, ეროვნული განათლების სისტემის ხარვეზები, სიღარიბე და სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობა, საცხოვრებელი ადგილი - მთლიანობაში ან ინდივიდუალურად წარმოადგენს სერვისებსა და ინფორმაციაზე წვდომის სერიოზულ გამოწვევას. ამ ბარიერებს ხშირად თან ახლავს სტიგმის შემცველი კომუნიკაცია სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან.<sup>19</sup> ინფორმაციული ვაკუუმის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ

<sup>14</sup> Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარა. 48 – 56.

<sup>15</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 5 (2017) on living independently and being included in the community, CRPD/C/GC/5, 2017, პარა. 60; Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/34/58, 2016, პარა. 16.

<sup>16</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 2 (2014), Article 9: Accessibility, CRPD/C/GC/2, 2014; OHCHR, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Article 19: List of illustrative indicators on living independently and being included in the community, <https://bit.ly/3eJZoi2>.

<sup>17</sup> OHCHR, Human Rights indicators for the Convention on the Rights of Persons with Disabilities in support of a disability inclusive 2030 Agenda for Sustainable Development, Articles 1 to 4: List of illustrative indicators on the purpose, definitions, principles and general obligations of the Convention on the Rights of Persons with Disabilities (CRPD), <https://bit.ly/3eJZoi2>.

<sup>18</sup> Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 19: The right to social security (art. 9), E/C.12/GC/19, 2008, პარა. 35; Report of the Independent Expert on minority issues, Rita Izsák, A/HRC/22/49, 2012, პარა. 67.

<sup>19</sup> Report of the Independent Expert on Minority Issues, A/67/293, 2012, პარა. 48.

დგას ეთნიკური უმცირესობების იმ წარმომადგენლებთან მიმართებით, რომლებიც სოფლად, მსხვილი დასახლებებისგან მოშორებით, ცხოვრობენ. სწორედ ამის გამო, ისინი იმ სერვისებიდან და მომსახურებებიდან გამორიცხვის მომეტებული საფრთხის წინაშე დგებიან, რომელთა მიღების უფლებაც მათ კანონმდებლობით გააჩნიათ.<sup>20</sup> საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ორგანოთა პასიური როლი ენობრივი ბარიერების დაძლევის ნაწილში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, მათ შორის, შშმ პირებს, მთლიანად რიყავს საზოგადოებიდან და გამორიცხავს მათ მიერ უფლებებით დაუბრკოლებლად სარგებლობის შესაძლებლობას.

ენობრივ ბარიერებსა და ამ მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულებებზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს გაეროს ფარგლებში მოქმედი ისეთი მექანიზმები, როგორცაა, შშმ პირთა უფლებების კომიტეტი და უმცირესობათა საკითხებზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი. კერძოდ, საერთაშორისო დონეზე განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შშმ პირებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობის აუცილებლობაზე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებისათვის უფლებებისა და მათი განხორციელების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და სწავლების შესახებ, ასევე, ეთნიკური უმცირესობის ენებზე გაეროს შშმ პირთა კონვენციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე.<sup>21</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ შშმ პირებისათვის ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობაზე სახელმწიფოს მხრიდან უარის თქმა დისკრიმინაციის ფორმად მიიჩნევა.<sup>22</sup>

მეორე მხრივ, ამ სფეროში მნიშვნელოვან სტანდარტს ადგენს ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია და მის ფარგლებში მომუშავე მრჩეველთა კომიტეტი. სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, კონვენცია საგანგებოდ მიუთითებს სახელმწიფოთა ვალდებულებაზე, აღიარონ ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებულ ყველა პირთა უფლება, გამოიყენონ მისი ენა კერძოდ და საჯაროდ, როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმებში.<sup>23</sup> მეორე მხრივ, კონვენციის მიხედვით, იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, მათი მოთხოვნისა და რეალური საჭიროების შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ მათ ხელთ არსებული ღონისძიებები ამ ჯგუფებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში უმცირესობის ენის გამოყენების უზრუნველსაყოფად.<sup>24</sup>

კონვენციის ამ მნიშვნელოვან სტანდარტს განმარტავს მის ფარგლებში მომუშავე მრჩეველთა კომიტეტი. იგი ეთნიკური უმცირესობის ენების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და

<sup>20</sup> Report of the Independent Expert on minority issues, Rita Izsák, A/HRC/22/49, 2012, პარა. 67, 71.

<sup>21</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 2 (2014), Article 9: Accessibility, CRPD/C/GC/2, 2014, პარა. 21, 23; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 7 (2018) on the participation of persons with disabilities, including children with disabilities, through their representative organizations, in the implementation and monitoring of the Convention, CRPD/C/GC/7, 2018, პარა. 45; Report of the Independent Expert on Minority Issues, A/67/293, 2012, პარა. 48, 72, 76.

<sup>22</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 2 (2014), Article 9: Accessibility, CRPD/C/GC/2, 2014, პარა. 29.

<sup>23</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მ. 10 (1).

<sup>24</sup> იქვე, მ. 10 (2).



ამბობს, რომ ენა არა მხოლოდ გამოხატვისა და კომუნიკაციის ცენტრალური ფორმაა, იგი ასევე მნიშვნელოვანია მთელი რიგი უფლებების განსახორციელებლად, მათ შორისაა, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა, განათლების უფლების რეალიზაცია და სხვ.<sup>25</sup>

ამასთანავე, კომიტეტი უთითებს იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები დგანან, მათ შორის, დასაქმებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ დაცვაზე, განათლებაზე წვდომის მხრივ, რაც, მათ შორის, ენობრივი ბარიერებით არის გამოწვეული.<sup>26</sup> ზემოაღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად იგი სახელმწიფოების მხრიდან ისეთი ღონისძიებების განხორციელების მნიშვნელობაზე მიუთითებს, როგორცაა,

- საჯარო სერვისებსა და სოციალური დაცვის ინსტიტუტებთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და კონსულტაციებზე დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ენებზე;
  - სოციალური კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების წვდომის უზრუნველყოფა მათ მშობლიურ ენაზე და ამ მიმართულებით ინტერსექციური დისკრიმინაციის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის, წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობის გააზრება;
  - სათანადო და დეტალური მონაცემების შეგროვება, რომლის დანიშნულებაც იქნება იმ პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავება, განხორციელება და შეფასება, რომელიც სხვადასხვა ჯგუფს მიკუთვნებული პირების ენობრივ საჭიროებებსა და უფლებებს სცემს პატივს და უწყობს ხელს.<sup>27</sup>
- სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელობა

ერთ-ერთი საკითხი, რასაც საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და მათზე წვდომის უზრუნველყოფაა. სწორედ კვლევაზე დაფუძნებული მონაცემები იძლევა შესაძლებლობას, ეფექტიანი ზედამხედველობა გაეწიოს ქვეყნის მიერ საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულებას და გამოიკვეთოს ამა თუ იმ სფეროში ან/და ჯგუფებთან დაკავშირებული საჭიროებები.<sup>28</sup>

<sup>25</sup> Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities, Thematic Commentary No. 3: The Language Rights of Persons Belonging to National Minorities under the Framework Convention, ACFC/44DOC(2012)001 rev, 2012, პარა. 3.

<sup>26</sup> იქვე, პარა. 86.

<sup>27</sup> Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities, Thematic Commentary No. 3: The Language Rights of Persons Belonging to National Minorities under the Framework Convention, ACFC/44DOC(2012)001 rev, 2012, პარა. 3, 19, 88; Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities (ACFC), Fifth Opinion on Finland, ACFC/OP/V(2019)001, 2019, პარა. 22, 142.

<sup>28</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 2006, მ. 31.

მონაცემების არსებობისა და მათი დეტალური დამუშავების მნიშვნელობაზე მიუთითებს გაეროს დონეზე მოქმედი სხვადასხვა მექანიზმი (მათ შორის, შშმ პირთა უფლებების კომიტეტი, ბავშვთა უფლებების კომიტეტი, გაეროს სპეციალური მომხსენებელი შშმ პირთა უფლებებზე) და ამ ვალდებულებას გაეროს მდგრადი განვითარების მე-17 მიზანსა და 17.18 ამოცანასთან<sup>29</sup> აკავშირებს.<sup>30</sup>

შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა არაერთხელ მოუწოდა სახელმწიფოებს, შეემუშავებინათ შშმ პირთა მიმართ ინფორმაციის შეგროვების ერთიანი სისტემა და პროცედურები და ეს ინფორმაცია დაემუშავებინათ სხვადასხვა ინდიკატორის მითითებით - მათ შორისაა, ასაკი, სქესი, *ეთნიკური კუთვნილება*, დასაქმებისა და განათლების მდგომარეობა და სხვ.<sup>31</sup> მეტიც, შშმ პირთა უფლებებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი მიუთითებს, რომ შშმ პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი მონაცემები, *სულ მცირე*, სქესის, ასაკისა და ეთნიკური კუთვნილების ნიშნით უნდა დამუშავდეს.<sup>32</sup> უმცირესობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი ასევე ამახვილებს ყურადღებას უმცირესობისაკენ მიმართული პოლიტიკის ინტერვენციების ზუსტ სტატისტიკაზე დაფუძნების მნიშვნელობაზე.<sup>33</sup> მისი მითითებით, მხოლოდ დეტალური ინფორმაცია შეიძლება დაედოს უმცირესობის წარმომადგენელ სხვადასხვა ჯგუფთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ მიზნობრივ პროგრამებსა და პოლიტიკას საფუძვლად.

მნიშვნელოვანია, რომ ამგვარად ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემები სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში იყოს ხელმისაწვდომი, მაგალითად, სოციალური დაცვისა და ბენეფიტებზე წვდომის მიმართულებით, დასაქმებაზე წვდომის კუთხით, სერვისებსა და მომსახურებებზე არასრულწლოვნების წვდომის სფეროში და სხვ.<sup>34</sup>

სტატისტიკური მონაცემების შეგროვების უშუალო პროცესთან მიმართებით საინტერესო განმარტებებს აკეთებს ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი. ამ მექანიზმის თანახმად, ნებისმიერი მონაცემების შეგროვებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა უფლება თავისუფალ

---

<sup>29</sup> „2020 წლისთვის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების და მცირე კუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის; შემოსავლის, გენდერის, ასაკის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, მიგრაციული სტატუსის, შეზღუდული შესაძლებლობის, გეოგრაფიული მდებარეობის და შესაბამის ეროვნულ კონტექსტებში არსებული სხვა მახასიათებლების მიხედვით კლასიფიცირებულ ხარისხიან, დროულ, სანდო და დეტალურ მონაცემებზე წვდომის მნიშვნელოვნად გაზრდის მიზნით“, იხ. <https://bit.ly/3RlMnZ4>.

<sup>30</sup> მაგალითად, იხ. Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Greece, CRPD/C/GRC/CO/1, 2019, პარა. 47.

<sup>31</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of Jamaica, CRPD/C/JAM/CO/1, 2022, პარა. 57; Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of France, CRPD/C/FRA/CO/1, 2021, პარა. 63.

<sup>32</sup> Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities on her mission to the Republic of Moldova, A/HRC/31/62/Add.2, 2016, პარა. 61.

<sup>33</sup> Report of the Special Rapporteur on minority issues on her mission to Sri Lanka, A/HRC/34/53/Add.3, 2017, პარა. 75.

<sup>34</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, Concluding observations on the initial report of the Philippines, 2018, პარა. 49; Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 8 (2022) on the right of persons with disabilities to work and employment (Advance Unedited Version), CRPD/C/GC/8, 2022, პარა. 4.

**თვითიდენტიფიცირებაზე** - ისინი არ უნდა იყვნენ ვალდებულნი, ყოველთვის მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია, როგორც უმცირესობათა ჯგუფებს მიკუთვნებულებმა.<sup>35</sup> მიკუთვნებულობასა და იდენტობასთან დაკავშირებული შეკითხვები ღია უნდა იყოს და მკაფიოდ უზრუნველყოფდეს რამდენიმე კუთვნილების აღნიშვნის შესაძლებლობას, რომელიც შემდგომ სათანადოდ დამუშავდება, გაანალიზდება და ხელმისაწვდომი იქნება.<sup>36</sup>

ამასთანავე, იმ შემთხვევებში, როდესაც ცალკეული უფლების განხორციელება გარკვეულ რაოდენობრივ ზღვრებს უკავშირდება,<sup>37</sup> თავისუფალი თვითიდენტიფიკაციის უფლებრივი შინაარსი მოიცავს ეთნიკური უმცირესობების უფლებას, - 1. საკუთარ ენაზე მთავრობის მხრიდან სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულები მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიისა და მიზნის შესახებ და 2. სათანადოდ იყვნენ ჩართულნი მსგავსი პროცესების ორგანიზებასა და განხორციელებაში, განსაკუთრებით იმ არეალებში, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს.<sup>38</sup>

მრჩეველთა კომიტეტი ასევე საგანგებოდ აღნიშნავს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა მხრიდან **მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკასა და რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობის არამიზანშეწონილობას**, რადგან, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ამ მონაცემებმა, შესაძლოა, სრულად არ ასახონ სინამდვილე.<sup>39</sup> ამის ნაცვლად, მთავრობებმა, უმცირესობის წარმომადგენლებთან მჭიდრო კონსულტაციის გზით, პერიოდულად უნდა გადახედონ და გააანალიზონ სტატისტიკური მონაცემები და გამოიყენონ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროც, მათ შორის, დამოუკიდებელი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები.<sup>40</sup>

- მონაწილეობის უზრუნველყოფა

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირთა მონაწილეობა სახელმწიფო უწყებების (როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია მიუთითებს პოლიტიკის ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში შშმ პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ეფექტიანი და რეალური

<sup>35</sup> Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities, the Framework Convention: a Key Tool to Managing Diversity through Minority Rights, Thematic Commentary No. 4 – The Scope of Application of the Framework Convention for the Protection of National Minorities, ACFC/56DOC(2016)001, 2016, პარა. 16.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> როდესაც რაიმე ტიპის მომსახურების არსებობა დაკავშირებულია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების გარკვეულ რაოდენობრივ მაჩვენებელთან, რის მეშვეობითაც ვლინდება საჭიროება.

<sup>38</sup> იქვე, პარა. 17.

<sup>39</sup> მაგალითად, კვლევების პროცესში ეთნიკური კუთვნილების შესახებ პირის მიერ ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმა, შესაძლებელია, განპირობებული იყოს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციისა და მარგინალიზაციის გამოცდილებებით; იხ. იქვე, პარა. 18, 25.

<sup>40</sup> იქვე.



ჩართულობის აუცილებლობაზე.<sup>41</sup> მოცემულ ზოგად ჩანაწერს განმარტავს გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტი, რომელიც თავის №7 ზოგად კომენტარსა და არაერთი სახელმწიფოსათვის მიცემულ რეკომენდაციებში, სხვა საკითხებთან ერთად, განმარტავს ხელისუფლების ნებისმიერ დონეზე გადაწყვეტილების მიღების დროს ეთნიკური ან/და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებისა და მათი ორგანიზაციების ეფექტიანი ჩართულობის მნიშვნელობას.<sup>42</sup>

## 1.2. რელევანტური ეროვნული სტანდარტები

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების უფლებების დაცვის საკითხზე საუბრისას შესაძლებელია რამდენიმე რელევანტური სამართლებრივი რეგულაციისა და პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა. პირველ რიგში, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც განამტკიცებს თანასწორობის უფლებას და კრძალავს დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნის, მათ შორის, ეთნიკური კუთვნილების, მიხედვით.<sup>43</sup> კონსტიტუციის მიერ თანასწორობის უფლებაშივე მოაზრებულია სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს განსაკუთრებული პირობები შშმ პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.<sup>44</sup>

თანასწორობის პრინციპს ასევე ითვალისწინებს საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ“, რომლის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა ნიშნის, მათ შორის, ეთნიკური კუთვნილების, მიუხედავად.<sup>45</sup>

ზემოაღნიშნულის პარალელურად, საქართველოსთვის ძალაშია დოკუმენტის წინა თავში მიმოხილული არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ. ამასთანავე, 2005 წელს, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებისას საქართველომ მიუთითა, რომ მან აიღო ვალდებულება, კონვენციის მე-10 მუხლთან<sup>46</sup> მიმართებით „*ეროვნული უმცირესობისადმი*

<sup>41</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 2006, მ. 4(3), 33 (3).

<sup>42</sup> Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 7 (2018) on the participation of persons with disabilities, including children with disabilities, through their representative organizations, in the implementation and monitoring of the Convention, CRPD/C/GC/7, 2018, პარა. 50, 94; იხ. ასევე, Report of the Special Rapporteur on the rights of persons with disabilities, A/HRC/31/62, 2016, პარა. 100.

<sup>43</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მ. 11 (1).

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, 2014, მ. 1.

<sup>46</sup> „იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში“, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია, 1995, მ. 10 (2).

მიკუთვნებული პირები ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და სამართალწარმოების პროცესში უზრუნველყოს თარჯიმნის დახმარებით, რათა ამ გზით რეალიზებულ იქნეს მათთვის აღნიშნული მუხლით მინიჭებული უმცირესობის ენის გამოყენების უფლება“.<sup>47</sup>

- თემატური საკანონმდებლო სტანდარტები

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით საინტერესო რეგულირებას აწესებს საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“.<sup>48</sup> კანონის მიხედვით, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ,

- სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის ურთიერთობისას უზრუნველყოს თარჯიმნის დახმარება;
- სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებს ენიჭებათ უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, თარგმნონ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირის მიერ მუნიციპალიტეტის ორგანოში ეთნიკური უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადება, საჩივარი და მასზე გაცემული პასუხი;
- მუნიციპალიტეტის ორგანოები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ეთნიკური უმცირესობის ენაზე თარგმნას;
- იქმნება შესაძლებლობა, რომ საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადებების, შეტყობინების, აბრის, პლაკატის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი, სახელმწიფო ენასთან ერთად, მიწოდებული იყოს ეთნიკური უმცირესობის ენაზე;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ოფიციალური ღონისძიება (გარდა მუნიციპალიტეტის ორგანოს სხდომისა), შესაძლებელია, ჩატარდეს ეთნიკური უმცირესობის ენაზე.

ამასთანავე, საკვლევი საკითხებისთვის მნიშვნელოვანი ეროვნული ინსტრუმენტია საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2020 წელს მიიღო და რომელიც მიზნად ისახავს შშმ პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში დამოუკიდებელი ცხოვრების, ასევე, ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველყოფას.<sup>49</sup> კანონი ეხება შშმ პირთა მთელ რიგ უფლებებს, მათ შორის, თანასწორობის, დამოუკიდებელი ცხოვრების, შრომისა და დასაქმების, მიმართულებით. კანონი მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე,

<sup>47</sup> საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის №1938 დადგენილება „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“, პარა. 2 (ბ).

<sup>48</sup> საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“, მ. 9, 11, 12, 20, 24.

<sup>49</sup> საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, 2020, მ. 1.

უზრუნველყოს სხვადასხვა სახის მხარდამჭერი მომსახურებების, ინფორმაციის, ობიექტებისა და კომუნიკაციის მისაწვდომობა.<sup>50</sup>

კანონი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გაწერს ვალდებულებას, შშმ პირებისათვის უზრუნველყონ თავიანთ სისტემაში არსებული ყველა სერვისის სრული მისაწვდომობა, შესაბამის საჭიროებებზე მორგებული, ადაპტირებული პროგრამებისა და მასალების ჩათვლით.<sup>51</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულებად, უშუალოდ არის მითითებული ყველა შშმ პირისათვის სოციალური და დასაქმების ხელშეწყობის სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია/აბილიტაციის, ასევე, სოციალური სერვისების მრავალფეროვნებისა და გეოგრაფიული მისაწვდომობის ხელშეწყობა, შშმ პირთათვის პროგრამების შემუშავება და განვითარება მათი საჭიროებების შესწავლის საფუძველზე.<sup>52</sup>

სერვისებზე წვდომასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ნორმატიული რეგულაციების მიუხედავად, კანონში, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებთან, მათ გამოწვევებთან (მათ შორის, ენობრივ პოლიტიკასთან და თემში არსებულ ინფორმაციულ ვაკუუმთან) და ამ გამოწვევების დაძლევის ხედვებთან დაკავშირებით, რაც, საბოლოო ჯამში, კანონს ამ ჯგუფის წარმომადგენლებისთვის არამგრძობიარეს ხდის.

ანალოგიური მიდგომა აქვს არჩეული სხვა საკანონმდებლო აქტებსაც. მათ შორისაა, საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსი<sup>53</sup> და საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, რომლებიც გაწერენ შშმ პირთა მიმართ სახელმწიფოს ვალდებულებებს სოციალური დაცვისა და შრომის უფლების რეალიზაციის სფეროში, თუმცა, ეს აქტები კვლავ შშმ პირთა ზოგად პოპულაციას მიემართება და არ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტული ტიპის ღონისძიებებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირთა წინაშე არსებული ბარიერების დასაძლევად.<sup>54</sup>

- რელევანტური პოლიტიკის დოკუმენტები

საკანონმდებლო ნორმების პარალელურად, საგულისხმოა პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც საკანონმდებლო თუ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სხვადასხვა პერიოდში დაამტკიცა. პირველ რიგში, აღსანიშნავია მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი,

<sup>50</sup> იქვე, მ. 4.

<sup>51</sup> იქვე, მ. 21.

<sup>52</sup> იქვე, მ. 26.

<sup>53</sup> შრომის კოდექსთან მიმართებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ იგი კრძალავს ეთნიკური კუთვნილების ნიშნით შრომით დისკრიმინაციას; იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, 2010, მ. 2 (3), 4 (1).

<sup>54</sup> იხ. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, 2006, მ. 12<sup>1</sup>, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, 2010, მ. 8, 9, 23, 27, 28, 77, 79, საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, 2020, მ. 15, 34-36, 42.



რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების გლობალურ დონეზე არსებული მიზნების ადგილობრივ განხორციელებას.<sup>55</sup> დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოსთვის მისადაგებულ ამოცანებს, ეროვნულ ინდიკატორებსა და სამიზნე მაჩვენებლებს, რომლებიც პოლიტიკის რელევანტური ღონისძიებების ეფექტიანობის გაზომვისას იყენებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა, მაგალითად, სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა, მედიანური შემოსავლის 50 %-ზე ქვემოთ მცხოვრები ადამიანების რაოდენობა, სხვადასხვა ნიშნის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მიხედვით და საჯარო სამსახურში დასაქმებულ შშმ პირთა რაოდენობა.

პოლიტიკის დოკუმენტებს შორის ასევე საყურადღებოა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია, რომელმაც 2014-2020 წლები მოიცვა და დასახა ამ პერიოდში სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები ადამიანის უფლებების დაცვის მთელი რიგი მიმართულებებით, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისა და შშმ პირების უფლებების უზრუნველყოფის ნაწილში.<sup>56</sup> როგორც სტრატეგიამ, ისე მისი შესრულებისათვის დამტკიცებულმა სამოქმედო გეგმებმა<sup>57</sup> გაითვალისწინეს მთავრობის არაერთი ვალდებულება, შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მონაწილეობის ხელშეწყობის, ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა და შშმ პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომობის მიმართულებით.

სტრატეგიასა თუ სამოქმედო გეგმებში არსებული არაერთი მნიშვნელოვანი ჩანაწერის შინაარსიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მათი ეფექტიანი აღსრულების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შშმ პირების უფლებების დაცვის პოლიტიკის ტრანსფორმაცია და მათ საჭიროებებზე დაფუძნებული ღონისძიებების გატარება, სტატუსის მინიჭების, დასაქმების, სოციალურ სერვისებზე წვდომისა თუ მისაწვდომობის სხვა ასპექტებთან მიმართებით. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო ამ დოკუმენტების სრული, დროული და ეფექტიანი აღსრულება, რაც ამ ჯგუფთან მიმართებით არსებულ პოლიტიკას სტატიკურს ქმნის და მათ უფლებრივ მდგომარეობას წლების განმავლობაში ვერ ცვლის.

---

<sup>55</sup> მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი, იხ. <https://bit.ly/3NveWgD>.

<sup>56</sup> საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის დადგენილება №2315 – III „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014 – 2020 წლებისათვის) დამტკიცების შესახებ“, სტრატეგიული მიმართულება №12 და №15.

<sup>57</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014 – 2015 წლებისათვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014 – 2015 წლებისათვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №338 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016 – 2017 წლებისათვის) დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის №182 დადგენილება „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018 – 2020 წლებისათვის) დამტკიცების შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის სექტემბერში დაამტკიცა და საქართველოს პარლამენტში დააინიცირა ადამიანის უფლებათა დაცვის 2022 – 2030 წლების სტრატეგიის დოკუმენტი.<sup>58</sup> სტრატეგიის სამუშაო ვერსიამ ცალკე მიმართულებად გაწერა ერთი მხრივ, შშმ პირთა, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა, უფლებების დაცვის მიმართულებები და არაერთი ამოცანაც დასახა. მიუხედავად ამისა, დოკუმენტმა არ მოიცვა მთელი რიგი საკითხები, რომელთა მხედველობაში მიღებაც მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ ჯგუფის უფლებების ჯეროვანი დაცვისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების გარანტირებისათვის. სტრატეგიის მიერ უგულებელყოფილ/არასათანადოდ ასახულ საკითხებს შორის, აღსანიშნავია:

- კონკრეტული ამოცანები შშმ პირთა სოციალური დაცვისა და დასაქმების მიმართულებით;
- შშმ პირთა სტატისტიკის წარმოების საკითხები;
- სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს შშმ თემის წარმომადგენელთა რეალური და ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფის საკითხი;
- ზოგადი ფორმულირებები სახელმწიფო სერვისების მიწოდების პროცესში უმცირესობებისა და შშმ თემის წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინების მიმართულებით, რომელიც არ მოიცავს სახელმწიფოს კონკრეტულ ვალდებულებებს ამ სფეროში;
- ეთნიკური უმცირესობების ენობრივი ბარიერების გათვალისწინება სერვისებისა და რელევანტური ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით და ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილების აუცილებლობა.

ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის პარალელურად, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, რომელიც უკანასკნელ წლებში მთავრობამ ორჯერ - 2015 და 2021 წლებში დაამტკიცა.<sup>59</sup> ზემოაღნიშნული დოკუმენტებით სახელმწიფომ ფორმალურად, თუმცა მხოლოდ დეკლარაციულად, აღიარა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებების სხვათა თანასწორად დაცვისა და საზოგადოებაში ეფექტიანი ინტეგრაციის მნიშვნელობა და სტრატეგიის მიზნად საჯარო უწყებების მიერ განსახორციელებელი საქმიანობის ხელშეწყობა, უწყებათშორისი კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა და ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ ერთიანი, ერთგვაროვანი და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება დასახა.

<sup>58</sup> იხ. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, №07-2/181/10; რეგისტრაციის თარიღი: 5.09.2022, <https://bit.ly/3BOwtCr>.

<sup>59</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №1740 განკარგულება „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 – 2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №356 დადგენილება „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021 – 2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

უამრავი გამოწვევის გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები დგანან, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სტრატეგიამ ხუთი მსხვილი პრიორიტეტი გამოკვეთა: 1. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; 2. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა; 3. თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა; 4. სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია; 5. კულტურათაშორისი დიალოგი.

ზემოაღნიშნული მსხვილი მიმართულებების ქვეშ სტრატეგია და მისი თანმდევი სამოქმედო გეგმა არაერთ ამოცანასა და აქტივობას ითვალისწინებს. კვლევის ფოკუსის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი მიმართულებები:

- საზოგადოებრივ სერვისებზე, ასევე ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის; სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ჩართულობის ზრდა;
- სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
- სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის არცერთ სტრატეგიაში არ ფიგურირებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირთა საჭიროებები და მათ გამოწვევებთან გამკლავების ხედვები. გამონაკლისს წარმოადგენს 2021 – 2030 წლების სტრატეგია და 2021 – 2022 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მხოლოდ ერთი - განათლების, მიმართულებით სახავეს ამოცანას.<sup>60</sup> ზემოაღნიშნული პრობლემა, სხვა საკითხებთან ერთად, სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაკლია და გამორიცხავს სახელმწიფო პოლიტიკის მიერ ამ შშმ პირების სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის დანახვასა და მათ ჯეროვან მხარდაჭერას.

საბოლოო ჯამში, ეროვნული საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოს ანალიზიდან იკვეთება, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების საჭიროებები და მათი მოწყვლადობა არცერთ ნორმატიულ აქტსა თუ პოლიტიკის დოკუმენტში არ ჩანს. ერთი მხრივ, შშმ პირთა უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პოლიტიკის ჩარჩო, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია, ასევე, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საგანგებოდ არ მიუთითებს მათზე, როგორც განსაკუთრებული მოწყვლადობის მქონე სუბიექტებზე და არ ითვალისწინებს მათი სოციალური ექსკლუზიის აღმოფხვრის, გამოწვევების დაძლევისა და ჯეროვანი მხარდაჭერის ხედვებს. ამასთანავე, სამწუხაროდ, არსებული სისტემა დღემდე უფლებელყოფს საერთაშორისო სტანდარტებით, განსაკუთრებით, ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციით, განმტკიცებულ და კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ განმარტებულ დანაწესებს ეთნიკური კუთვნილების ნიშნით დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ნაწილში, ასევე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირების უფლების მიმართულებით, მშობლიურ ენაზე

<sup>60</sup> „განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (შშმ და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა“.

მიიღონ სერვისები და ამავე ენაზე იყვნენ ინფორმირებულები არსებული მომსახურებებისა და მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ. ზემოაღნიშნული, საბოლოო ჯამში, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აქცევს და სპობს მათ შესაძლებლობას, მინიმალურ დონეზე მაინც იყვნენ ინფორმირებულნი ბაზისური სერვისების შესახებ და მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## 2. შშმ პირების წვდომა სერვისებზე - ზოგადი კონტექსტი

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების მიერ ცენტრალურ დონეზე არსებულ სერვისებსა და მექანიზმებზე წვდომის ბარიერების შეფასებამდე, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმ კონტექსტისა და სისტემური ბარიერების მიმოხილვა, რომელიც ყველა შშმ პირისათვის არსებით პრობლემებს ქმნის დამოუკიდებელი ცხოვრებისა და უფლებების რეალიზაციისათვის.

საყურადღებოა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები არა მხოლოდ საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებისა თუ ანგარიშების ანალიზისას ვლინდება, არამედ მათზე, ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობის დროს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა არაერთმა შშმ პირმა გაამახვილა ყურადღება.

### - შშმ პირთა შეფასების სამედიცინო მოდელის არსებობა

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციამ განმარტა და ძირფესვიანად შეცვალა შშმ პირთა მიმართ არსებული მიდგომები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც კონვენციამ განახორციელა, შშმ პირთა შეფასებისა და მათ მიმართ პოლიტიკის განხორციელების ე.წ. სამედიცინო მოდელზე უარის თქმა და სოციალური და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პარადიგმების დამკვიდრებაა. კერძოდ, კონვენციამ ამოქმედებისთანავე უარყო შშმ პირთა მიმართ მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზებზე დაფუძნებული მიდგომები და პოლიტიკა და მიუთითა, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არა მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის, არამედ საზოგადოებაში არსებული ბარიერების შედეგია, რის შედეგადაც შშმ პირებს ერთმევათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვათა თანასწორად მონაწილეობის შესაძლებლობა.<sup>61</sup>

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია საქართველოსთვის 2014 წლიდან სავალდებულოდ არის აღიარებული, ქვეყანამ ვერ შეძლო არსებული პოლიტიკის ძირეული ცვლილება და იგი დღემდე შშმ პირთა მიმართ სამედიცინო პარადიგმას ემყარება. კერძოდ, შშმ პირთა საჭიროებების შეფასება და მათთვის სტატუსის მინიჭება სპეციალური საკანონმდებლო ნორმების<sup>62</sup> საფუძველზე, ჯერ კიდევ მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზების საფუძველზე ხდება, რაც გამორიცხავს ამ ჯგუფის წარმომადგენელთა რეალური საჭიროებების, ასევე, საზოგადოებაში არსებული ბარიერების

<sup>61</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენცია, 2006, მ. 1.

<sup>62</sup> იხ. საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“, 2001; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანება „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

შეფასებას და მათი მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ეფექტიანი მხარდაჭერით უზრუნველყოფას.

აღსანიშნავია, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აკისრებს ვალდებულებას, 2023 წლის 1 იანვრამდე „უზრუნველყოს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცება“<sup>63</sup> რაც სოციალური მოდელის სრული დანერგვის თარიღს გაურკვეველ მომავალში სდებს.

- სოციალური პაკეტის ოდენობა

ერთ-ერთი პრობლემური და მწვავე საკითხი, რის წინაშეც შშმ თემი დგას, შშმ პირებისათვის განკუთვნილი სოციალური პაკეტის (ე.წ. პენსიის) მწირი ოდენობაა. ამ ჯგუფის წარმომადგენლებზე ფულადი გასაცემლის საკითხს „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილება არეგულირებს, რომლის მიხედვითაც, მკვეთრად გამოხატულ შშმ პირებსა და შშმ ბავშვებზე ყოველთვიურად 275 ლარი, მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებზე - 140 ლარი, ხოლო ზომიერად გამოხატულ შშმ პირებზე, რომლებიც ბავშვობიდანვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი იყვნენ<sup>64</sup> - 100 ლარი გამოიყოფა.<sup>65</sup>

ზემოაღნიშნული მწირი გასაცემელი, რომელიც მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატულ შშმ პირებთან მიმართებით საარსებო მინიმუმსაც<sup>66</sup> კი ვერ აღწევს, კიდევ უფრო პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ შრომის ბაზარზე შშმ პირების ჩართვის მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია,<sup>67</sup> შესაბამისად, ამ პირებს, ხშირ შემთხვევაში, შემოსავლის სახით მხოლოდ სოციალური პაკეტი რჩებათ, რაც ფიზიკური გადარჩენისთვის არასაკმარისია.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც მომავალი წლიდან გათვალისწინებულია სოციალური პაკეტის

<sup>63</sup> საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, 2020, მ. 37 (2).

<sup>64</sup> შენიშვნა: მოცემულ ჩამონათვალში არ შედიან ის პირები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მიიღეს.

<sup>65</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მ. 5.

<sup>66</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, მიმდინარე წელს საარსებო მინიმუმის ოდენობა ვარირებს 226.2 – 255.3 ლარის ფარგლებში; იხ. <https://bit.ly/3Sfsh4w>.

<sup>67</sup> მაგალითად, სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით, 2021 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებისა და სერვისების ფარგლებში ჯამში 38 შშმ პირი იყო დასაქმებული, ხოლო საჯარო სექტორში - 128 შშმ პირი; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, გვ. 288.



პერიოდული ზრდა ინდექსაციის წესით, ასევე მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და შშმ ბავშვებისათვის გასაცემლის 65 ლარით, ხოლო მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შშმ პირებისათვის - 35 ლარით ზრდა.<sup>68</sup> მიუხედავად სოციალური პაკეტის ზრდის მნიშვნელობისა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მოცულობა მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შშმ პირის სტატუსის მქონეთათვის საარსებო მინიმუმს კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება და მინიმალურადაც ვერ დააკმაყოფილებს ამ ჯგუფის საჭიროებებს.

- *სერვისების სიმწირე*

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაზეც, მათ შორის, განსაკუთრებით მწვავედ მიუთითებენ შშმ თემი, ასევე, მათ უფლებებზე მომუშავე აქტორები, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის მხარდამჭერი სერვისების სიმწირე და მათზე წვდომის პრობლემებია. ამ მიმართულებით კანონმდებლობაში ჩადებული გარანტიების მიუხედავად,<sup>69</sup> მდგრადი სერვისები სოციალური პაკეტისა და ერთჯერადი გასაცემლების მიღმა მწირია, შშმ პირების საჭიროებების კვლევას კვლავ არ ეფუძნება, ხოლო არსებული მომსახურებები წლიდან წლამდე ძირითადად უცვლელი რჩება.

ამასთანავე, მიუხედავად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული საჭიროებებისა, შშმ პირთა მხარდაჭერის სერვისები ძირითადად დედაქალაქსა და რამდენიმე მსხვილ ქალაქშია თავმოყრილი და რეგიონებში მცხოვრებ პირებს მათზე წვდომის შესაძლებლობა არ აქვთ.<sup>70</sup> საქართველოს მასშტაბით არაერთ მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მიიღონ ისეთი სერვისები, როგორცაა, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, დღის ცენტრის მომსახურება, ადრეული განვითარების სერვისი, პერსონალური ასისტირებისა თუ შინმოვლის სერვისები. ამგვარ მნიშვნელოვან მომსახურებებზე წვდომის არარსებობა შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხზე მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს და მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის პრაქტიკულად ყველა უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობისთვის.

### **3. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების წვდომა სერვისებზე - გამოწვევები ქვემო ქართლში**

ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებსა და სერვისებზე ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი შშმ პირების წვდომის საკითხის შესწავლისას მრავალი ბარიერი და გამოწვევა გამოიკვეთა, რომელსაც სახელმწიფომ პოლიტიკის ეფექტიანი ზომების შემუშავებითა

<sup>68</sup> საქართველოს კანონის პროექტი №07-2/199/10 „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, <https://bit.ly/3glhFDI>.

<sup>69</sup> მაგალითად, იხ. საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, 2020, მ. 10, 20, 26, 35.

<sup>70</sup> სერვისების გეოგრაფიული მისაწვდომობის პრობლემებზე წლების განმავლობაში საუბრობს სახალხო დამცველიც, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, გვ. 283.

და განხორციელებით უნდა უპასუხოს. მოცემული თავის მიზანი სწორედ ამ ჯგუფის წინაშე არსებული სისტემური პრობლემების მიმოხილვა და ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებზე მათი წვდომის შეფასებაა.

### **3.1. ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებზე წვდომის სისტემური გამოწვევები - ძირითადი კონტექსტის აღწერა**

ცენტრალურ დონეზე არსებულ სერვისებსა და მექანიზმებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შშმ პირების წვდომის ნაწილში სისტემურ პრობლემებს შორის წამყვანია სახელმწიფოს ენის პოლიტიკა, რაც სერვისებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით თემს ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს.

კიდევ ერთი სისტემური ბარიერია საერთო სტატისტიკური მონაცემების არარსებობა და ეთნიკური ნიშნით მონაცემების დაუმუშავებლობა, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან ამ ჯგუფის საჭიროებების ჯეროვან გამოკვეთასა და მიზნობრივი პოლიტიკის განხორციელებას. ზემოაღნიშნულის პარალელურად, მწვავედ დგას სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის ჩართულობა, რაც, ერთობლიობაში, მთავრობის ხედვის არეალიდან აქრობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებს.

#### **3.1.1 რელევანტური სტატისტიკური მონაცემების არარსებობა**

ეფექტიანი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე მისი მონიტორინგის პროცესში სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელობის მიუხედავად, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ შემუშავებულა შშმ პირებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია და წესი, რომელიც მისადაგებული იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტებთან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მხოლოდ სოციალური პაკეტის მიმღები პირების რაოდენობას აგროვებს, რაც ისედაც ხარვეზიანი სამედიცინო მოდელის საფუძველზე მინიჭებული სტატუსის მქონე ყველა პირს სრულად ვერ აღრიცხავს. კერძოდ, სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა სიიდან ავტომატურად გამოირიცხებიან ზომიერად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირები, რომლებიც ბავშვობიდანვე არ ყოფილან შშმ პირები; ასევე, ის შშმ პირები, რომლებმაც ასაკობრივი პენსიის მიღება დაიწყეს და, შესაბამისად, სოციალური პაკეტის მიღებაზე უარი ეთქვათ.

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზის მიხედვით, საქართველოში სულ 125 467 შშმ პირია რეგისტრირებული.<sup>71</sup> მათ შორისაა, 13 343 შშმ ბავშვი; 29 070 მკვეთრად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირი, 74 420 მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირი და 10 634 ზომიერად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირი. უწყება ზემოაღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებს შშმ პირების სქესისა და ასაკის, ასევე, საქართველოს რეგიონების მიხედვით.<sup>72</sup>

მთავრობას არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი რამდენი შშმ პირი ცხოვრობს ქვეყანაში. ეს ნიშნავს, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები სახელმწიფოს ხელის არეალის გარეთ რჩებიან და მათ მიმართ მტკიცებულებებზე დაფუძნებული რაიმე სახის პოლიტიკის ღონისძიების განხორციელება შეუძლებელია.


ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობის სულ მცირე 15% შშმ პირია.<sup>73</sup> ქვეყნების საერთო მოსახლეობაში შშმ პირების წილიც სწორედ გლობალურ პროცენტულ მაჩვენებელთან ახლოს უნდა იყოს. კვლევების მიხედვით, ეს წილი ვარირებს 11.8% -დან (მაღალშემოსავლიან ქვეყნებში) 18% - მდე (დაბალშემოსავლიან ქვეყნებში).<sup>74</sup>

საქართველოში მცხოვრებ შშმ პირთა (სოციალური პაკეტის მიმღებთა) რაოდენობა მკვეთრად ჩამორჩება გლობალურ მაჩვენებლებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში ამ ჯგუფის წარმომადგენელთა რეალური რაოდენობის მხოლოდ მესამედია გამოვლენილი, სტატუსმინიჭებული და დაფარული სოციალური პაკეტის მიერ.

ამასთანავე, როგორც ზემოთ აღნიშნა, მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტების ცალსახა მოთხოვნებისა, სახელმწიფო შშმ პირთა სტატისტიკურ მონაცემებს ეთნიკური კუთვნილების მიხედვით არ აწარმოებს.<sup>75</sup> იგი მხოლოდ რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით აგროვებს ერთიან ინფორმაციას სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რაოდენობის შესახებ.

<sup>71</sup> იხ. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკა, <https://bit.ly/3yqHrw6>.  
<sup>72</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენცია N MOH 1 22 00173448; 2.08.2022.  
<sup>73</sup> World Health Organization, World Report on Disability, Summary, 2011, გვ. 7.  
<sup>74</sup> World Health Organization, World Report on Disability, 2011, გვ. 27.  
<sup>75</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენცია N MOH 1 22 00173448; 2.08.2022.

გრაფიკი №1. სოციალური პაკეტის მიმღებთა წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში (%).



სტატისტიკური მონაცემების არარსებობა ხელს უშლის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების საჭიროებების, ასევე, მათ წინაშე არსებული სისტემური ბარიერების გამოსავლენად და შემდგომ მათ აღმოსაფხვრელად პოლიტიკის ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას.

ეთნიკური ნიშნით სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობაზე, როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების სერვისებში ჩართვის პროცესის შეფასების მნიშვნელოვან ბარიერზე, მიუთითებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

შშმ პირთა რაოდენობა საქართველოს ყველა რეგიონში არაადეკვატურად დაბალია, **თუმცა ქვეყანაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ქვემო ქართლის რეგიონშია.** ეს მიუთითებს შშმ პირის სტატუსის მინიჭების მექანიზმებზე ქვემო ქართლის მოსახლეობის წვდომის პრობლემებზე, რის შედეგადაც კიდევ უფრო მეტი შშმ პირი სახელმწიფოს მინიმალური მხარდაჭერის გარეშე რჩება.

ქვემო ქართლის სამ მუნიციპალიტეტში შშმ პირთა წილი რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე კიდევ უფრო დაბალია. ესენია, **თეთრიწყაროს (2.07%), გარდაბნისა (2.28%) და წალკის (2.3%) მუნიციპალიტეტები.**

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.<sup>76</sup> თუმცა, მისი საუბრიდან არ იკვეთება ხედვა მონაცემების დამუშავების მიმართულებით სახელმწიფოს მიდგომების ცვლილებასთან დაკავშირებით.

*„პირადობის მოწმობაშიც არ იწერება ეთნიკური კუთვნილება. პენსიის დასანიშნად რომ მოვა, ხომ არ შეეკითხები, რა ეროვნების ხარ? ჩვენთვის ის არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს, ვუნიშნავთ პენსიას, ხოლო სტატისტიკას არ ვავროვებთ ეთნიკური ნიშნით“.*

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*

### 3.1.2 სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა

ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების შეზღუდული წვდომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ენობრივი ბარიერები და ამ მიმართულებით სახელმწიფოს პასიური როლი. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეების 73.9% ქართულ ენას თავისუფლად არ ფლობდა. ბარიერები, უპირველესად სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის სისუსტეებით არის გამოწვეული, რომელიც, წლების განმავლობაში, როგორც წესი, უგულვებელყოფდა ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათ საჭიროებებს.<sup>77</sup>

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა სხვადასხვა სერვისსა და ინფორმაციასთან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირების წვდომის ბარიერს არა მხოლოდ ცენტრალურ, არამედ მუნიციპალურ დონეზეც ქმნის.<sup>78</sup> ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საკრებულოები და მერიები არ ქმნიან მოქალაქეების განცხადებების, საჩივრების, ადმინისტრაციული ორგანოების პასუხების (მათ შორის, საჯარო ინფორმაციის), ასევე, რელევანტური ნორმატიული აქტების უმცირესობების ენაზე თარგმნის რესურსებს.<sup>79</sup> შესაბამისად, სახელმწიფო ენის არასრულყოფილად ცოდნის შემთხვევაში,

<sup>76</sup> ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან.

<sup>77</sup> განათლების სისტემის ხარვეზებთან დაკავშირებით, იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები, 2020, <https://bit.ly/3tLinx5>.

<sup>78</sup> Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities, Third Opinion on Georgia, ACFC/OP/III(2019)002, 2019, პარა. 103.

<sup>79</sup> იხ. მაგალითად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერება მარნეულის მუნიციპალიტეტში, 2020, <https://bit.ly/3EpnPEs>; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, განცხადება: „EMC მარნეულის მერიას და საკრებულოს, აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანის რესურსების არარსებობის გამო, სასამართლოში უჩივის“, 2019, <https://bit.ly/3TTo5HJ>.



ეთნიკურად აზერბაიჯანულ მოქალაქეებს საკუთარი ხარჯით უწევთ ამ დოკუმენტების თარგმნა და ამ გზით ბაზისურ ინფორმაციაზე წვდომა.<sup>80</sup>

ცხადია, რომ არსებული რეგულაციები, ერთი მხრივ, შშმ პირებისთვის, მათი სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობიდან და სოციალური პაკეტის უკიდურესი სიმწირიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად აბრკოლებს ბაზისური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას და საზოგადოების დანარჩენ წევრებთან შედარებით კიდევ უფრო დიდ ფინანსურ ბარიერს უქმნის, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის, ისე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის რეგულაციების უგულებელყოფას სერვისებსა და ინფორმაციასთან დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

*„ჩვენი ბრალი არ არის ენის არცოდნა. ჩემს დროს ნახევარი საათი გვექონდა კვირაში [გაკვეთილი], ერთი დღე. ენის სწავლის საშუალება არ გვექონია“.*

*დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირის სტატუსის მაძიებელი*

კითხვაზე, თუ როგორ ახორციელებს სახელმწიფო ეთნიკური უმცირესობების ენებზე მოსაუბრე შშმ პირების მომსახურებას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ადგილობრივი ერთეულები ცდილობენ დაასაქმონ ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც იციან უმცირესობის ენა, რათა ამ ჯგუფის წარმომადგენლებს დაეხმარონ სამინისტროსთვის განცხადებით მომართვასა და მოთხოვნის ჩამოყალიბებაში, ასევე, გაუწიონ მათ კონსულტაცია.<sup>81</sup>

ამ განცხადებიდან ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებისათვის, მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს არ გააჩნია ერთიანი, სისტემური პოლიტიკა და რაიმე ტიპის ღონისძიების განხორციელება ცალკეული ტერიტორიული ორგანოს კეთილ ნებასა თუ თანამშრომლის ლინგვისტურ შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული.

<sup>80</sup> სოციალური სამართლიანობის ცენტრი, განცხადება: „EMC მარნეულის მერიას და საკრებულოს, აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანის რესურსების არარსებობის გამო, სასამართლოში უჩივის“, 2019, <https://bit.ly/3TTo5HJ>.

<sup>81</sup> ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან.

ამასთანავე, სამინისტროს მიერ ზემოთ მითითებული მცდელობების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირები რადიკალურად განსხვავებულ რეალობაში ცხოვრობენ. ინფორმაციის მისაწვდომობის ვალდებულების უგულვებელყოფის პირობებში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას ან/და სოციალურ მუშაკებთან კომუნიკაციისას, ენობრივი ბარიერის დაძლევის ტვირთი მთლიანად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებზე გადმოდის.

მაგალითად, სოციალური მუშაკების თქმით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებთან მუშაობისას ენობრივი ბარიერი უდიდეს დაბრკოლებებს ქმნის.<sup>82</sup>

*„რა თქმა უნდა, ენობრივი ბარიერი არსებობს, მაგრამ ახალგაზრდებს უფრო ესმით ქართული ენა. თუ არ ესმით, თან ჰყავთ ხოლმე ვიღაცა, ან მეზობელი თუ ჩვენ მივდივართ და მათი საშუალებით ხდება კომუნიკაცია“.*

*თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკი*

*„ძირითადად საუბარი გვიწევს რუსულად. იშვიათია, რომ ქართული იცოდნენ. ხანდახან ნათესავის ან ნაცნობის დახმარებით უთარგმნიან რუსულ-აზერბაიჯანულად“.*

*მარნეულის მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკი*

არაფორმალური თარჯიმნის არსებობის ან არარსებობის პირობებშიც (ქართულ ან რუსულ ენაზე კომუნიკაციის შემთხვევაში) კი, სოციალურ მუშაკებს უჭირთ სიღრმისეული მუშაობა ბენეფიციარებთან და არსებულ პროგრამებზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.

*„რუსულად რამდენად ამომწურავად შეიძლება რომ კანონმდებლობის დონეზე სოციალური მუშაკი ესაუბროს [ბენეფიციარს]? ვერ ვხვდებით ამას“.*

*ქვემო ქართლის რეგიონში მომუშავე სოციალური მუშაკი*

თემის წევრებიც და სოციალური მუშაკებიც აღნიშნავენ, რომ მათ შორის დიდწილად რუსულ ენაზე მიმდინარეობს კომუნიკაცია.

ამ ენის არცოდნის შემთხვევაში, შშმ პირები იძულებულნი ხდებიან, რომ **ოჯახის წევრების, ნათესავების ან/და მეზობლების დახმარებით** შეძლონ სახელმწიფოსთან კომუნიკაცია.

### 3.1.3. ინფორმირების ნაკლებობა და თემის მონაწილეობის არარსებობა

ენობრივი ბარიერისა და სახელმწიფოს პასიური როლის ფონზე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირები თავს მთავრობისგან

მიტოვებულად, ინფორმაციულ ვაკუუმში გრძნობენ. ამ მდგომარეობას ისიც ემატება, რომ ქვეყანაში ამ დრომდე არ შემუშავებულა ინფორმაციის მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი.

<sup>82</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებთან.

*„ენის ბარიერის გამო ბევრი რამისგან შორს ვრჩებით. რაღაცას ვიგებთ ერთმანეთისგან, [შემდეგ] ვეძებ ადამიანს, რომელიც დაადასტურებს, რომელსაც ეცოდინება ქართული და გვეტყვის კის ან არას“.*

*ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირი*

*„მთავარი პრობლემა, რასაც თემის წევრები ხვდებიან, არის ინფორმაციის უკმარისობა და ინფორმაციული ვაკუუმი. ხშირ შემთხვევაში, რაც ხდება, არაფერი ვიცით ხოლმე. ზემოთ მიღებული კანონები ჩვენამდე არ ჩამოდის და გზაში უჩინარდება“.*

*მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირი*

ამას ადასტურებს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელიც, რომელიც მიუთითებს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებისათვის ინფორმაციის მისაწვდომობა უპირველესი გამოწვევაა.

*„ზოგადად შშმ პირებისათვის ინფორმაციის მისაწვდომობა, ვიცით, რა გამოწვევებთან არის დაკავშირებული და შეგვიძლია წარმოვიდგინოთ პრობლემები, როდესაც დამატებით ენობრივი ბარიერი არსებობს“.*

*საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი*

ამ პირობებში, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს ხელი არ მიუწვდებათ ინფორმაციაზე შშმ პირთა უფლებების, ამ უფლებების დაცვისა და გასაჩივრების საშუალებების შესახებ.<sup>83</sup> ინფორმაციული ვაკუუმის შეგრძნება განსაკუთრებით მწვავეა იმ შშმ პირებისათვის, რომლებიც არა ქალაქებში, არამედ მუნიციპალიტეტის ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებში ცხოვრობენ.<sup>84</sup>

ამასთანავე, ფოკუს ჯგუფის მონაწილე შშმ პირების იმ მცირე ნაწილსაც, რომელიც ინფორმირებული იყო სახელმწიფო უწყებებისათვის მიმართვის, მოთხოვნის დაყენების ან/და გასაჩივრების პროცედურებზე, არ ჰქონდა ინსტიტუციური მექანიზმების ნდობა და სასიკეთო ცვლილებების იმედი.

*„რომ მქონდეს საშუალება კი [მივმართავდი], მაგრამ ვინ მიიღებს?“*

*ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირი*

საყურადღებოა, რომ ნდობის დაბალ მაჩვენებლებზე საუბრობს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც მიუთითებს, რომ

<sup>83</sup> ინტერვიუ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენელთან; ფოკუს ჯგუფის შეხვედრები დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებთან და მათი ოჯახის წევრებთან.

<sup>84</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებთან.

ეთნიკურად აზერბაიჯანელი თემის მხოლოდ 30.9%-ს მიაჩნდა, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აინტერესებდა მისი ეთნიკური ჯგუფის საჭიროებები და პრობლემები, ხოლო 58.5% ფიქრობდა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ისე ექცევა მისი ეთნიკური ჯგუფის წევრებს, როგორც ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებს.<sup>85</sup>

სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მაკოორდინირებელი როლის მიუხედავად,<sup>86</sup> რაც, მათ შორის, ცენტრალურ დონეზე არსებული სოციალური პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდის უზრუნველყოფასაც უნდა მოიცავდეს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ პირთა ინფორმირების მიმართულებით უწყება პრაქტიკულად მეორეხარისხოვნად გვევლინება. კერძოდ, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ზემოაღნიშნული ჯგუფისათვის ინფორმაციის მიწოდებისას წამყვანი უწყება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატია, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, საინფორმაციო კამპანიის წარმართვის ნაცვლად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში იღებენ მონაწილეობას.<sup>87</sup> პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ საკოორდინაციო მანდატის მქონე და ეფექტიანი მუშაობისათვის საჭირო საბიუჯეტო რესურსების არმქონე უწყებას მოიაზრებს წამყვან ინსტიტუტად ზემოთ დასახელებულ საკითხებზე, მიუთითებს იმაზე, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, მათ შორის, შშმ პირები, საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებით, არ არიან მიჩნეულნი თემატური უწყების - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საინფორმაციო პოლიტიკის პირველად სამიზნე ჯგუფად. შესაბამისად, სისტემა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს უსამართლოდ და დაუსაბუთებლად რიყავს სამინისტროს ზოგადი მოსახლეობისკენ მიმართული კომუნიკაციიდან.

საყურადღებოა, რომ კითხვაზე, თუ რა ღონისძიებებს მიმართავს სამინისტრო შშმ პირთა უფლებების, ასევე, მათთვის განკუთვნილი ბენეფიტების შესახებ ქვემო ქართლში მცხოვრები მოსახლეობისა და თემის ინფორმირებისათვის, უწყებამ *მხოლოდ სამი შემთხვევის შესახებ* მოგვაწოდა ინფორმაცია:

<sup>85</sup> სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019, გვ. 48 – 49.

<sup>86</sup> იხ. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მ. 16.

<sup>87</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენცია N MOH 1 22 00173448; 2.08.2022; ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან.

- *2018 წლის ივნისი-აგვისტოს პერიოდში* განხორციელებული კამპანია სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ იყო ორგანიზებული და მიზნად სახელმწიფო სოციალური პროგრამების (სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის შემადგენელი ქვეპროგრამების) გაცნობასა და მათზე მისაწვდომობის გაზრდას ისახავდა მიზნად.<sup>88</sup> მოცემული კამპანიის ფარგლებში, შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, ქვემო ქართლში (მარნეულის, გარდაბნის, წალკის, დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში) ადგილობრივი მოსახლეობის, პედაგოგების, სოფლის ექიმების, სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებს დაურიგდათ ბროშურები საარსებო შემწეობის დანიშვნის, გაცემისა და ადმინისტრირების, ასევე, ბავშვზე ზრუნვის სერვისებისა და ფორმების შესახებ;
- *2021 წლის მაისში*, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მხარდაჭერითი დასაქმების კოორდინატორმა მონაწილეობა მიიღო შშმ პირთა ალიანსის წევრებთან შეხვედრაში, რომელიც პლატფორმა „სალამის“ მიერ იყო ორგანიზებული. სააგენტოს წარმომადგენელმა შეხვედრის მონაწილეებს სახელმწიფოს მიერ დასაქმების ხელშეწყობის მიმართულელებით შემუშავებული პროგრამები გააცნო;
- *2022 წლის ივნისში*, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, სამინისტროსა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში გაიმართა შეხვედრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის სოციალური პროგრამების გასაცნობად. შეხვედრაზე აზერბაიჯანულ ენაზე დაბეჭდილი თემატური ბროშურები დარიგდა.

სამწუხაროდ, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ მოიცავს მონაცემებს მონაწილეთა რაოდენობისა (მათ შორის, მონაწილე შშმ პირების რაოდენობის) და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, შესაბამისად, რთულია აქტივობის მიზნობრიობისა და ეთნიკურ უმცირესობებზე ეფექტის შეფასება.

ამასთანავე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის ამგვარი მიწოდების პროცესი არ არის თანმიმდევრული პოლიტიკის ნაწილი და

<sup>88</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენცია N MOH 1 22 00173448; 2.08.2022.



მთავრობას ამ ჯგუფის წარმომადგენელი შშმ პირებისათვის ინფორმაციის მიწოდების გეგმა არ გააჩნია.<sup>89</sup>

უწყების ფარგლებში მოსახლეობის ინფორმირების პოლიტიკის არარსებობის პარალელურად, აღსანიშნავია, რომ როგორც სამინისტროს, ისე მის სისტემაში შემავალი რელიევანტური სსიპ-ების, მათ შორის, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობის ენებზე არ არის მისაწვდომი,<sup>90</sup> რაც თემის წევრებს კიდევ უფრო დიდ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს.

ინფორმირების გამოწვევების პარალელურად, უმწვავესად დგას თემის ჩართულობის პრობლემა სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, 2021 წლიდან, შშმ პირთა მიმართ პოლიტიკის ფორმირებისა და ამ პროცესში თემის წევრების მონაწილეობისათვის ორი პლატფორმა არსებობს:<sup>91</sup>

- *შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი* - მთავრობის ადმინისტრაციის დონეზე არსებობს, რომელიც მიზნად ისახავს კონვენციისა და ადგილობრივი კანონმდებლობის განხორციელების უწყებათაშორის კოორდინაციას, ხარვეზების გამოვლენასა და აღმოფხვრას. კომიტეტთან თანაარსებობს შშმ პირებისა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისაგან შექმნილი საკონსულტაციო საბჭო. **საბჭოს არცერთი წევრი არ არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირი.**
- *შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭო*, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში არსებობს და მიზნად ისახავს კანონის აღსრულებასა და ამ პროცესში შშმ თემის, ასევე, მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მონაწილეობას. საბჭოს ფარგლებში ფუნქციონირებს 4 კომიტეტი, რომელთა მუშაობა ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა, შშმ პირის სტატუსის დადგენის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვა; დეინსტიტუციონალიზაციის განხორციელება; შშმ პირებისათვის სოციალური მომსახურების განვითარება, ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების გაუმჯობესება; შშმ

<sup>89</sup> ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან.

<sup>90</sup> შენიშვნა: მოცემული ვებგვერდები მისაწვდომია მხოლოდ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

<sup>91</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ნოემბრის №551 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-332/ო ბრძანება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“.

პირების პერსპექტივების მუნიციპალურ დონეზე ინტეგრირება. *ისევე როგორც პირველი პლატფორმის შემთხვევაში, კომიტეტების წევრთა შემადგენლობაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირი არ ირიცხება.*

სამწუხაროდ, ჩართულობის ნაწილში მთავრობა საერთოდ ვერ ხედავს ამ ჯგუფის წარმომადგენლებს, როგორც პოლიტიკური აგენტობის მქონე პირებს. ცენტრალურ დონეზე არსებულ უწყებებს, სხვა შშმ აქტივისტებისა და ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, იდენტიფიცირებული არ ჰყავთ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირები, რომელთაც გარკვეული პერიოდულობით, მათთვის მისაწვდომ ენაზე და საშუალებებით, მიაწოდებდნენ ინფორმაციას პოლიტიკის მიმდინარე ცვლილებებთან, უწყებების ინიციატივებთან, გარკვეული სამუშაო ჯგუფებისა და პლატფორმების მუშაობასთან დაკავშირებით.

*„სახელმწიფოს თუ არ მიმართავ და მკაცრად არ მოითხოვ, ისე ვერაფერს მიიღებ. თვითონ სახელმწიფო არ ინტერესდება“.*

*მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირი*

მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები არა მხოლოდ არ არიან ჩართულები უწყებათაშორისი პლატფორმების მუშაობაში, არამედ ზემოაღნიშნულ მექანიზმებში მათ უფლებრივ მდგომარეობასთან, გამოწვევების გამოვლენასა და მათი დაძლევის ხერხებთან დაკავშირებით ამ დრომდე არ დასმულა საკითხი და არ მიმდინარეობს მუშაობა,<sup>92</sup> რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან ამ ჯგუფის სრულ იგნორირებაზე.

### **3.2. წვდომა ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებზე - ძირითადი ტენდენციები**

#### **3.2.1. შშმ პირის სტატუსის მინიჭება - პროცესში არსებული გამოწვევები**

როგორც ზემოთ აღინიშნა, შშმ პირის სტატუსის მინიჭება სამედიცინო მოდელის, ანუ სამედიცინო დიაგნოზების, მიხედვით ხდება. საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით, სტატუსის დადგენის შესახებ დასკვნა გამოაქვს სამედიცინო დაწესებულებას, რომელსაც შერჩევის საფუძველზე, 2 წლის ვადით გადაეცემა ამ სტატუსის დადგენის უფლება.<sup>93</sup> საქართველოს მასშტაბით ამგვარი უფლებამოსილების მქონე არაუმეტეს 70 დაწესებულება შეირჩევა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა

<sup>92</sup> ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან.

<sup>93</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/6 ბრძანება „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, დანართი №1: ინსტრუქცია შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“, მ. 3<sup>1</sup>.

და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ.<sup>94</sup>

შშმ პირის სტატუსის მინიჭების პროცესი მწვავედ გააკრიტიკეს ადგილობრივი თემის წარმომადგენლებმა და მათმა ოჯახის წევრებმა, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებული სისტემა არასამართლიანია და ადამიანების საჭიროებებზე არ არის მორგებული. მათთვის გაუგებარია, თუ რა პრინციპით ხდება ამა თუ იმ სტატუსის მინიჭება და რა უდევს საფუძვლად სტატუსის გადახედვას.<sup>95</sup>

ამასთანავე, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განსაკუთრებით პრობლემურია პირველადი ჯანდაცვის რგოლის მუშაობა, რომელმაც, როგორც წესი, უნდა გამოავლინოს სავარაუდო შშმ პირი და გადაამისამართოს შესაბამის დაწესებულებაში, რომელიც უფლებამოსილი იქნება პირისთვის სტატუსის მინიჭებაზე. თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის განცხადებით, მიუხედავად მნიშვნელოვანი ფუნქციებისა, პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტები ადგილობრივ მოსახლეობას ნაკლებად ეხმარებიან, უმეტესწილად - ცნობიერებისა და გადამისამართების პროცედურების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო.<sup>96</sup>

თუმცა, როგორც შშმ პირები აღნიშნავენ, ჯანდაცვის რგოლთან კომუნიკაცია უჭირთ არა მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზეზის, არამედ მათ მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცველი დამოკიდებულებების გამოც, რასაც სახელმწიფოს ენის პოლიტიკა კიდევ უფრო ამწვავებს.

*„წუწუნს იწყებენ, რატომ არ იცით [ენა] და უხეშად გვესაუბრებიან“.*

*დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ბავშვის მშობელი*

*„ეთნიკურად ქართველთან სხვაგვარად საუბრობს ექიმი, ვიდრე ჩვენთან და ვფიქრობ, ეს შეზღუდულ შესაძლებლობასთან კი არა, ეთნიკურობასთან არის დაკავშირებული“.*

*მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირი*

ზემოაღნიშნულ გამოწვევებთან ერთად, პრობლემას ქმნის სტატუსის დადგენაზე პასუხისმგებელ დაწესებულებებთან გეოგრაფიული მისაწვდომობაც. არსებული მონაცემებიდან იკვეთება, რომ ყოველ 100 000 მოსახლეზე იმ სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობით, რომლებიც შშმ სტატუსის დადგენის მიზნით ატარებენ სამედიცინო - სოციალურ ექსპერტიზას, ქვემო ქართლის


<sup>94</sup> იქვე, მ. 3<sup>2</sup>. ტფ

<sup>95</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრები დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებთან და მათი ოჯახის წევრებთან.

<sup>96</sup> ინტერვიუ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენელთან.

რეგიონი საქართველოს რეგიონებში ბოლოდან მეორე პოზიციაზე იმყოფება. ამასთანავე, ეს დაწესებულებები ქვემო ქართლის ოთხ მუნიციპალიტეტში - რუსთავის, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, ფუნქციონირებს, მაშინ, როდესაც წალკის, დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ამგვარი დაწესებულებები საერთოდ არ მოიძებნება.<sup>97</sup> ამ შემთხვევაში, შშმ სტატუსის მისაღებად მოსახლეობას სხვა მუნიციპალიტეტებში წასვლა უწევს.

**გრაფიკი №2. სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც შშმ სტატუსის დადგენის მიზნით ატარებენ სამედიცინო - სოციალურ ექსპერტიზას, რეგიონების მიხედვით**



*„იმისათვის, რომ სტატუსი მიენიჭოს, ბოლნისიდან ადამიანი მარნეულში უნდა ჩავიდეს, რუსთავში უნდა ჩავიდეს, მითუმეტეს ერთი ვიზიტი არ ჰყოფნის, რამდენიმე სჭირდება“.*

*ბოლნისის მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკი*

<sup>97</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენცია N MOH 1 22 00173448; 2.08.2022.

*„სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გვაქვს ხოლმე მომართვები და შესაბამისად ვაკვლიანებთ, არც თეორიულად არ არის შესაბამისი სპეციალისტი და გვიწევს უახლოეს ტერიტორიაზე გადამისამართება. ეს არის, ჩვენს შემთხვევაში, მარნეული“.*

*თეორიულად მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკი*

*„შესაძლებლობა არ არის, რომ ადგილზე მოხდეს სტატუსის მინიჭება, ეს იქნება სრულწლოვანი თუ არასრულწლოვანი. ამიტომ თბილისში უწევთ წასვლა. თბილისის უფრო აწყობს მოსახლეობას, რადგან მარნეულში ჩასასვლელად ტრანსპორტის შეცვლა უწევთ.“*

*წალკის მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკი*

ამ შემთხვევაში გამოყოფილი ფინანსური და დროითი რესურსები დიდი მოცულობისაა, რადგან ტრანსპორტირების საკითხის მოგვარებაც შშმ პირის სტატუსის მაძიებელს ან/და მის ოჯახს უწევს. პრობლემები კიდევ უფრო მწვავედება საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის ან/და მასზე წვდომის შეუძლებლობის გათვალისწინებით, რის გამოც წარმოქმნილი დამატებითი ტვირთი ისევ ამ ადამიანებზე გადადის.

*„პრობლემაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის არარსებობა. შეუძლებელია გარდაბნიდან ჩახვიდე რუსთავეში, სადაც სტატუსის მინიჭება ხდება ძირითადად. ხელში აყვანილი დაჰყავთ ბენეფიციარები მშობლებს. თუ არ ჰყავთ ავტომობილი, იძულებულნი ხდებიან ითხოვონ, იქირავეთ, რაც მათ დამატებით ბარიერებს უქმნით“.*

*გარდაბნის მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკი*

ბიუროკრატიული ბარიერებისა და ტრანსპორტის მისაწვდომობის არარსებობის გამო, შშმ პირებს უწევთ, სტატუსთან დაკავშირებით სახელმწიფო უწყებების წინაშე თავიანთი მოთხოვნები მოგვიანებით ან საერთოდ ვერ დააყენონ. მაგალითად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ერთ-ერთი შშმ პირის განცხადებით, მან სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიმართა სტატუსის ცვლილების (მნიშვნელოვნად გამოხატულის ცვლილება მკვეთრად გამოხატული შშმ პირის სტატუსით) მოთხოვნით, მაგრამ უპასუხეს, რომ ამისათვის ქ. თბილისში უნდა წასულიყო და იქ დაეყენებინა მოთხოვნა. ბიუროკრატიული ბარიერების გათვალისწინებით, მან ჯერ კიდევ ვერ შეძლო ამგვარი განცხადების დაწერა.<sup>98</sup>

ამასთანავე, ქვემო ქართლის რეგიონში მომუშავე სოციალური მუშაკები მიუთითებენ, რომ ცალკეულ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს კოორდინაციით ხდება პირების ტრანსპორტირება სხვა მუნიციპალიტეტში, სტატუსის მიღების

<sup>98</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებთან და მათი ოჯახის წევრებთან.



მიზნით, თუმცა, ცხადია, ეს არ წარმოადგენს ფორმალურ პოლიტიკას, არამედ ცალკეული უწყებებისა თუ პირების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

### 3.2.2. წვდომა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამაზე

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამას მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს და ითვალისწინებს ცენტრალურ დონეზე სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის (მათ შორის, შშმ პირთა, ხანდაზმულთა, ბავშვების, ახალგაზრდების) მხარდაჭერისკენ მიმართულ ღონისძიებებს. პროგრამა მოიცავს ისეთ მომსახურებებს, როგორცაა, მაგალითად, ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, ადრეული განვითარების ხელშეწყობის, დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამები.<sup>99</sup>

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების საჭიროებებისა და მათ წინაშე არსებული სისტემური ბარიერების გათვალისწინებით, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის ქვეპროგრამებზე წვდომა არაერთ პრობლემასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე შშმ ბენეფიციარების სტატისტიკური მონაცემები ეთნიკურ ჭრილში არ მუშავდება, რაც გამორიცხავს სერვისებში ამ ჯგუფის წვდომის სრულყოფილი შეფასების შესაძლებლობას.


განსაკუთრებით დიდ გამოწვევას წარმოადგენს წვდომა შშმ ბავშვებისათვის განკუთვნილ მომსახურებებზე. ქვემო ქართლის რეგიონში სერვისპროვაიდერების მიერ გამოყოფილი ადგილებისა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების რაოდენობის შეფარდება *მკვეთრად დისპროპორციულია და არსებული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს სხვა რეგიონებს.*

ზოგადად, შშმ ბავშვების რაოდენობა საქართველოს რეგიონებში ერთმანეთისგან განსხვავებულია და ვარიებს 67-დან (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) 4 549 შშმ ბავშვამდე (თბილისი). ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრების ქვეპროგრამების ფარგლებში გამოყოფილი რაოდენობების შესადარებლად, ის რეგიონები შეირჩა, სადაც მცხოვრები შშმ ბავშვების რაოდენობა ახლოსაა ქვემო ქართლის რეგიონის მონაცემებთან (1 458 შშმ ბავშვი).<sup>100</sup>

<sup>99</sup> საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №634 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

<sup>100</sup> შენიშვნა: ამ მონაცემებში არ არის მითითებული აჭარის ა/რ, რადგან რელევანტური პროგრამები გაბნეულია როგორც აჭარის ა/რ ცენტრალურ ბიუჯეტში, ისე ქ. ბათუმისა და შუახვის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში.

**გრაფიკი №3. ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრის ქვეპროგრამებში ჩართული ბავშვების საერთო რაოდენობა სხვადასხვა რეგიონში**



ამასთანავე, ქვემო ქართლის 7 მუნიციპალიტეტიდან 4-ში (გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტები) საერთოდ შეუძლებელია წვდომა ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრების ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ მომსახურებებზე, რაც მნიშვნელოვნად უარყოფითად აისახება ამ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობაზე.

ამ პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებენ სოციალური მუშაკებიც, რომლებიც მიუთითებენ, რომ დღის ცენტრის, ასევე, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურება მოქალაქეების, მათ შორის, აზერბაიჯანულენოვანი თემის, ძირითადი საჭიროებაა, და, შესაბამისად, მოთხოვნის ძირითად საგანიც.<sup>101</sup> საჭიროების გამო, ოჯახის არასრულწლოვანმა წევრმა მინიმალური მომსახურება რომ მიიღოს, ადამიანებს უწევთ სხვა მუნიციპალიტეტში, შორ მანძილზე გადაადგილდნენ.

*„ძირითადად ჩვენი ბენეფიციარები აღნიშნული სერვისების მისაღებად მიემგზავრებიან მარნეულში ან თბილისში, რაც დიდ ფინანსურ შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული“.*

*ბოლნისის მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკი<sup>102</sup>*

<sup>101</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებთან.

<sup>102</sup> შენიშვნა: იმავეზე გაამახვილა ყურადღება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალურმა მუშაკმა.

როგორც შშმ ბავშვების ოჯახის წევრები აღნიშნავენ, ყოველთვიურად ასობით ლარი ეხარჯებათ ტრანსპორტირებაში, რაც მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მწვავედ აისახება.

*„თვეში სადღაც 500 ლარი გვჭირდება, მინიმუმ. საწვავის გაძვირების მერე კიდევ უფრო ძვირი იქნება“.*

*დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ბავშვის მშობელი*

იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამებში ჩართვა მაინც ხერხდება, პრობლემას კვლავ ენის პოლიტიკა ქმნის. ამ დროს, ზოგიერთი მშობელი იძულებული ხდება, არა სახელმწიფო პროგრამით, არამედ კერძო სერვისით ისარგებლოს.

*„გამოწვევაა, რომ ითხოვენ აზერბაიჯანულენოვან ადრეულ განვითარების პროგრამას, მეტყველების პრობლემებთან დაკავშირებით. ხშირად ხდება, რომ მარნეულში უწევთ გარდაბნიდან წაყვანა ან რუსთავეში არის კერძო კლინიკა, რომელსაც უარის წერილის შემთხვევაში, მერია უფინანსებს. ანუ წერილი გაიცემა, რომ [ბენეფიციარს] სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს, [მაშინ] მერია უფინანსებს“.*

*გარდაბნის მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკი*

*„[ეთნიკურად] აზერბაიჯანელ თემს უნდა რეაბილიტაციისა და სხვა სერვისები თავის ენაზე. რუსთავეში მხოლოდ ერთი გვაქვს ასეთი და ისიც არ არის სახელმწიფო ვაუჩერით და არის კერძო დაწესებულება. მასობრივად მოდიან იმაზე, რომ უარის წერილი მივცეთ, იმიტომ რომ კერძოში უნდათ მომსახურების მიღება - ენობრივი ბარიერი სადაც არ აქვთ. შეიძლება 1 [აზერბაიჯანულენოვანი სერვისი] მაინც იყოს სახელმწიფო ვაუჩერით“.*

*ქვემო ქართლის რეგიონში მომუშავე სოციალური მუშაკი*

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში მცხოვრებ შშმ პირებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამით გათვალისწინებული მწირი სერვისების შესახებაც კი არ აქვთ ინფორმაცია, რაზეც არა მხოლოდ შშმ თემი, არამედ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროც მიუთითებს.<sup>103</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო თემის წევრების ინფორმირების მიმართულებით აქტიურ როლს არ ასრულებს და ამგვარი სერვისების შესახებ ინფორმაციას შშმ პირები და მათი ოჯახის წევრები არაფორმალური წყაროებიდან, ძირითადად მათი დასახლების მცხოვრებლებიდან იღებენ.<sup>104</sup>

<sup>103</sup> ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან; ფოკუს ჯგუფის შეხვედრები ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ შშმ პირებთან და მათ ოჯახის წევრებთან.

<sup>104</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრები დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ შშმ პირებთან და მათ ოჯახის წევრებთან.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამების, ასევე, სხვა შესაბამისი მომსახურებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისა და ჩართვის ნაწილში, სოციალურ მუშაკებს განსაკუთრებული როლი გააჩნიათ. მიუხედავად მათი ფუნქციის მნიშვნელობისა, შშმ პირებთან ფოკუს ჯგუფებით დადასტურდა, რომ მათი საქმიანობა უკიდურესად ლიმიტირებულია. კვლევაში მონაწილეთაგან არავინ იცოდა მის მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკის ვინაობა, ხოლო ზოგიერთმა განაცხადა, რომ ფოკუს ჯგუფის შეხვედრაზე გაიგო ამგვარი თანამდებობის არსებობის შესახებ.<sup>105</sup>

*„ახლა გავიგე ამ პოზიციის არსებობაზე, ესეც არის იმის ნიმუში, რომ ბევრი ინფორმაცია არ მოდის ჩვენამდე“.*

*ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირი*

თუმცა, სოციალური მუშაკების საქმიანობის ანალიზისას უგულებელყოფილი არ უნდა იყოს სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში შექმნილი სისტემური გამოწვევები, რაც ხელს უშლის მათ, ეფექტიანად მართონ შემთხვევები და ბენეფიციარებთან სიღრმისეულად იმუშაონ. ამგვარ გამოწვევებს შორისაა, სოციალურ მუშაობაზე გამოყოფილი მწირი ადამიანური და ფინანსური რესურსები, სოციალურ მუშაკთა გადატვირთულობა და მძიმე შრომითი პირობები, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც კიდევ უფრო პრობლემური ხდება მაშინ, როდესაც საჭიროა არა ადმინისტრაციულ ცენტრებში, არამედ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში გადაადგილება. შედეგად, სოციალური მუშაობა მხოლოდ გადაუდებელი შემთხვევებით შემოიფარგლება, ხოლო სხვა შემთხვევების უმეტესობა უგულებელყოფილი რჩება.<sup>106</sup>

საბოლოო ჯამში, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის თქმით, პროგრამებთან და სერვისებთან მიმართებით ცნობიერების სიმწირის გამო, მოსახლეობა, ცენტრალური ხელისუფლების დონეზე არსებულ მომსახურებებში ჩასართავად, უმეტესად ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავს. თუმცა, დაბალი ცნობიერების გამო, მუნიციპალიტეტები ხშირად შესაბამის უწყებასთან გადაუმისამართებლად ამბობენ უარს მოქალაქეების განცხადებების დაკმაყოფილებაზე იმ მიზეზით, რომ ამგვარ სერვისში ჩართვა მათ კომპეტენციაში არ შედის.<sup>107</sup> ამასთან დაკავშირებით არაერთი პრობლემა შექმნია ადგილობრივ მოსახლეობას. მაგალითად, როგორც ერთ-ერთმა შშმ პირმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტის დახმარებით ეტლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩასართავად დაწერილი განცხადება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში ოფიციალურად არ დარეგისტრირებულა, რის შედეგადაც მოქალაქეს თბილისში წასვლამ მოუწია, რაშიც 200 ლარი დახარჯა.

*„ლომბარდში ჩავდე ნივთი, რომ წავსულიყავი“.*

<sup>105</sup> იქვე.

<sup>106</sup> ინტერვიუ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენელთან.

<sup>107</sup> იქვე.

### 3.2.3. წვდომა დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებზე

მიუხედავად დიდი სურვილისა, თემში დასაქმების შესაძლებლობები მწირია და დასაქმების ხელშეწყობა მომსახურებებზე წვდომაც უკიდურესად ლიმიტირებული, რაც, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მწირი სტატისტიკიდანაც ჩანს. ყოველივე ეს განსაკუთრებით მწვავედ შშმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება.

*„მე შემიძლია, რომ ვიმუშაო ოპერატორად ონლაინ, ქოლ ცენტრში, მაგრამ ვინ გვაძლევს ამ სამსახურს?“*

*„პრიორიტეტული საკითხი ჩემთვის არის უმუშევრობა. ჩემი აზრით, უმუშევრობის განმაპირობებელი ფაქტორი არის ინფორმაციული ვაკუუმი. ბევრი საქმის გაკეთება შემიძლია. 8-10 საათის მუშაობაც შემიძლია.“*

*„სოციალურს მადლევენ, მაგრამ რაში მყოფნის ის მე? რომ ვიმუშაო, კარგი იქნებოდა.“*

### ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირები

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამას, რომელსაც სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს და რომელიც ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური გააქტიურების მექანიზმებს აერთიანებს.<sup>108</sup> 2022 წლის მდგომარეობით, პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

- დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა;
- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა;
- საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა.

პროგრამის ფარგლებში ჩართული შშმ პირების რაოდენობა წლების განმავლობაში მწირია და თემის წევრების მნიშვნელოვან წილს ვერ მოიცავს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია გარკვეულ ქვეპროგრამებთან<sup>109</sup> მიმართებით მოიცავს

<sup>108</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის №81 დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“.

<sup>109</sup> მაგალითად, საკვანძო კომპეტენციების განვითარება, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენცია N MOH 1 22 00173448; 2.08.2022.




სტატისტიკურ მონაცემებს ბენეფიციარ შშმ პირთა საერთო რაოდენობის შესახებ, ხოლო ცალკეულ ქვეპროგრამებთან დაკავშირებით მოიცავს ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას რეგიონების მიხედვით. ამასთანავე, სხვა მიმართულებების მსგავსად, არც ამ სფეროში იწარმოება სტატისტიკა ეთნიკური ნიშნით, რაც პროგრამასა და ქვეპროგრამებზე ეთნიკური უმცირესობების წვდომის ეფექტიანობის სრულყოფილი შეფასების შესაძლებლობას არ იძლევა.

სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ 2 ქვეპროგრამასთან მიმართებით მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს რეგიონების მიხედვით:


- **სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტი** - სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, სუბსიდირების კომპონენტში ჩართული შშმ პირების რაოდენობა წლების განმავლობაში მკვეთრად დაბალია. მაგალითად, 2021 წელს ამ მექანიზმით ისარგებლა 8 შშმ პირმა (*თბილისიდან - 6; შიდა ქართლიდან - 1 და კახეთიდან - 1*), ხოლო 2022 წლის 6 თვის თავზე, კომპონენტში ჩართვის მიზნით, მხოლოდ 1 შშმ პირს გაეწია კონსულტაცია. *არსებული მწირი სტატისტიკიდანაც ჩანს, რომ მოცემული კომპონენტი ქვემო ქართლს ვერ ფარავს.*
- **მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების (ე.წ. ქოუჩების) მომსახურება** - ეს კომპონენტი გულისხმობს კონსულტანტების მიერ ე.წ. შუალედური რგოლის ფუნქციის შესრულებას სამუშაოს მაძიებელ შშმ და სსსმ პირთა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის. *სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლში მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტის მომსახურებაში ჩართულ შშმ პირთა რაოდენობა, ასევე, კომპონენტში ჩართულ შშმ პირთა პროპორცია სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალია.*

**გრაფიკი №4. მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტის (ე.წ. ქოუჩი) მომსახურებაში ჩართულ შშმ პირთა რაოდენობა, რეგიონების მიხედვით<sup>110</sup>**

<sup>110</sup> შენიშვნა: სტატისტიკაში არ არის მითითებული ცალკეული რეგიონები, მათ შორის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი.



გრაფიკი №5. მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტის (ე.წ. კოუჩი) მომსახურებაში ჩართულ პირთა რაოდენობა ყოველ 10 000 ზრდასრულ შშმ პირზე<sup>111</sup>



ისევე, როგორც სხვა სერვისების შემთხვევაში, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების შესახებ ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად

<sup>111</sup> შენიშვნა: სტატისტიკაში არ არის მითითებული ცალკეული რეგიონები, მათ შორის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი.

აზერბაიჯანელი შშმ პირების ინფორმირება ძალიან დაბალია. ფოკუს ჯგუფის შეხვედრების მიმდინარეობისას, არცერთი შშმ პირი არ ფლობდა ინფორმაციას ამგვარი მექანიზმების შესახებ.<sup>112</sup>

## დასკვნა და ძირითადი მიგნებები

ცენტრალური ხელისუფლების დონეზე არსებულ სერვისებსა და მექანიზმებზე ქვემო ქართლში ეთნიკურად აზერბაიჯანელი შშმ პირების წვდომის საკითხის შესწავლისას არაერთი ბარიერი და სისტემური პრობლემა გამოიკვეთა, რაც, საბოლოო ჯამში, ამ თემის წარმომადგენლების სოციალურ ექსკლუზიას იწვევს და ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სხვათა თანასწორად მონაწილეობას.

შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები აღიარებენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების მოწყვლადობას და სახელმწიფოებს მოუწოდებენ, გაატარონ ღონისძიებები მათი საჭიროებების გამოსავლენად და გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, სტატისტიკის წარმოების, თემის წევრების ჩართულობისა და მონაწილეობის, სერვისებსა და ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფის მიმართულებით.

მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტებისა, საქართველოში მდგომარეობა მკვეთრად განსხვავებულია. ამ ჯგუფის წარმომადგენლები სრულიად უჩინარნი, გარიყულნი და უგულვებელყოფილნი არიან ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რომელსაც, თავის მხრივ, არ აქვს მათი გამოვლენის, ბარიერების გააზრებისა და ინკლუზიური მიდგომებით მათი დაძლევის ხედვა.

ეთნიკურად აზერბაიჯანელი შშმ პირების საჭიროებების შესწავლისას ნათლად ჩანს, რომ ის გამოწვევები, რასაც ქვეყანაში მცხოვრები შშმ თემის დანარჩენი ნაწილი განიცდის, მათთვისაც მწვავე და აქტუალურია. მათ შორისაა, შშმ პირის სტატუსის მინიჭება ღირსების შემლახველი სამედიცინო მოდელით, სერვისების სიმწირე და სოციალური პაკეტის უკიდურესად მცირე ოდენობა, რომელიც მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულ სისტემურ გამოწვევებთან ერთად, კვლევის პროცესში გამოიკვეთა პრობლემები, რომელთა გადაჭრაც სახელმწიფოს მხრიდან გონივრულ ვადებში ეფექტიან ღონისძიებებს საჭიროებს:

- ცენტრალურ დონეზე არსებულ სერვისებთან და მექანიზმებთან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების წვდომის ნაწილში, ერთ-ერთი წამყვანი გამოწვევაა სახელმწიფოს ენის პოლიტიკა, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისთვის ჯერ კიდევ შეფასებისა და შშმ პირის სტატუსის მიღების ეტაპზე და მის შემდგომ, ყველა მიმართულებით, მათ შორის, საბაზო რესურსების მიწოდების პროცესშიც კი, სრულად გამორიცხავს მშობლიური ენის გამოყენებას და ამით რადიკალურად აღრმავებს მათ

<sup>112</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრები ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ შშმ პირებთან და მათი ოჯახის წევრებთან.

სოციალურ მოწყვლადობას და ექსკლუზიას. სახელმწიფო ორგანოებთან კომუნიკაციისას ენობრივი ბარიერის დაძლევის ტვირთი მთლიანად შშმ პირზე ან/და მისი ოჯახის წევრზე გადმოდის, რომლებიც იძულებულნი ხდებიან, ოჯახის სხვა წევრების, ნათესავების, ნაცნობების ან/და მეზობლების დახმარებით ქართულ-აზერბაიჯანულად ან რუსულ-აზერბაიჯანულად შეძლონ სახელმწიფოსთან კომუნიკაცია;

- სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირების მიერ სხვადასხვა სერვისებსა და ინფორმაციასთან შეუფერხებლად წვდომას არა მხოლოდ ცენტრალურ, არამედ მუნიციპალურ დონეზეც მნიშვნელოვნად აფერხებს. ბიუჯეტებში თარგმნის რესურსების გაუთვალისწინებლობის გამო, ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს საკუთარი ხარჯით უწევთ დოკუმენტების (განცხადებების, საჩივრების, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხების) თარგმნა და ამ გზით ბაზისურ ინფორმაციაზე წვდომა, რაც შშმ პირებისათვის განსაკუთრებულად დიდი ფინანსური ტვირთია. საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს ამჟამინდელი პოლიტიკა ეწინააღმდეგება როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის, ისე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის რეგულაციებს სერვისებსა და ინფორმაციასთან დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- ენის პოლიტიკა გამოწვევას წარმოადგენს სერვისებში ჩართვის შემდეგაც - როგორც კვლევისას გამოიკვეთა, შშმ ბავშვების მშობლები იძულებულნი ხდებიან არა სახელმწიფო პროგრამით, არამედ კერძო სერვისით (მუნიციპალიტეტის დაფინანსებით) ისარგებლონ, სადაც მათ აზერბაიჯანულ ენაზე მოემსახურებიან;
- სახელმწიფოს ენის პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად ამწვავებს ინფორმაციაზე წვდომის იმ სიმძნელებს, რომელთა წინაშეც ქვეყანაში მცხოვრები შშმ პირები დგანან. ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში, ქვემო ქართლში მცხოვრებ შშმ პირებს არ აქვთ ინფორმაცია ქვეყანაში არსებულ მწირ სერვისებზეც (მათ შორის, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის, ასევე დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებებზე) კი, და ვერ ახერხებენ მათში ჩართვას. მათ ასევე არ აქვთ ინფორმაცია შშმ პირის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა ასევე არ იყო ინფორმირებული მათ მუნიციპალიტეტში მომუშავე სოციალური მუშაკის, მისი ვინაობისა და ფუნქციების შესახებ. ამგვარი ვითარება უგულვებელყოფს საერთაშორისო სტანდარტების, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის, დანაწესებს, მათ შორის, შშმ პირთა შრომისა და დასაქმების (მ. 27), დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის (მ. 19), სოციალური დაცვისა და ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის (მ. 28) უფლებების განმსაზღვრელ ნორმებს;
- ინფორმაციულ ვაკუუმს სახელმწიფო სათანადოდ ვერ პასუხობს და არ იღებს სისტემურ ზომებს მის დასაძლევად. მეტიც, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ისევე როგორც მის სისტემაში შემავალი შესაბამისი სსიპ-ების, მათ შორის, სსიპ - სოციალური

მომსახურების სააგენტოსა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობის ენებზე არ არის მისაწვდომი, რაც თემისთვის კიდევ უფრო დიდ ინფორმაციულ ვაკუუმს იწვევს. ზემოაღნიშნული, პირველ რიგში, ინფორმაციის მისაწვდომობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციით განმტკიცებულ უფლებას (მ. 9, 21) ეწინააღმდეგება;

- სახელმწიფო სერვისებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები მწირი და უსისტემოა, ხოლო ინფორმირების ვალდებულებაში წამყვანი უწყება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნაცვლად, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატია. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირები, საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებით, არ არიან მიჩნეულნი თემატური უწყების - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საინფორმაციო პოლიტიკის პირველად სამიზნე ჯგუფად, რაც იწვევს ამ სამინისტროს ზოგადი მოსახლეობისკენ მიმართული კომუნიკაციიდან ამ ჯგუფის გარიყვას;
- ინფორმირების გამოწვევების პარალელურად, ცენტრალური ხელისუფლება, პრაქტიკულად არ რთავს თემს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებს მთავრობა საერთოდ ვერ ხედავს და არათუ პროაქტიურად არ რთავს სხვადასხვა უწყებათაშორისი მექანიზმის მუშაობაში, არამედ საერთოდ არ სვამს საკითხს ამ ჯგუფის წინაშე არსებულ ბარიერებთან და მათი დაძლევის ხერხებთან დაკავშირებით. შექმნილი მდგომარეობა ეწინააღმდეგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის დანაწესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ თემის აქტიური და ეფექტიანი ჩართულობისა და მონაწილეობის შესახებ;
- ერთი მხრივ, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ხოლო, მეორე მხრივ, თავად შშმ პირთა უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პოლიტიკის ჩარჩო არ ხედავს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირებს, როგორც განსაკუთრებული მოწყვლადობის მქონე ჯგუფს და არ სახავს მათი სოციალური ექსკლუზიის აღმოფხვრისა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის გზებს;
- მიუხედავად საერთაშორისო დონეზე არსებული რეკომენდაციებისა, რომლებიც, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციითა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის სტანდარტებით არის გამყარებული, სახელმწიფო შშმ პირებთან მიმართებით სტატისტიკურ ინფორმაციას ეთნიკური კუთვნილების ნიშნით არ ამუშავებს, რაც ამ ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ ახშობს სახელმწიფო პოლიტიკის ზეგავლენის შეფასების შესაძლებლობას. კერძოდ,



- სახელმწიფოს არ აქვს დაზუსტებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირთა ან/და სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რაოდენობა;
  - ცენტრალურ დონეზე არსებულ სერვისებში (მათ შორის, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა) ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ შშმ პირთა ჩართვის მაჩვენებლები მთავრობისთვის უცნობია.
- ეთნიკური ნიშნით სტატისტიკის არარსებობის შემთხვევაშიც კი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციითაც იკვეთება ქვემო ქართლის რეგიონში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა. მათ შორის,
- საქართველოს მასშტაბით, ქვემო ქართლის რეგიონში ყველაზე ნაკლები შშმ პირია გამოვლენილი და სოციალური პაკეტის პროგრამით მოცული. მოცემულ რეგიონში შშმ პირების რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის 2.42%-ს შეადგენს. რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში შშმ პირთა წილი რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე კიდევ უფრო დაბალია და შეადგენს 2.07%-ს - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, 2.28%-ს - გარდაბნის მუნიციპალიტეტში და 2.3%-ს - წალკის მუნიციპალიტეტში;
  - ამასთანავე, ყოველ 100 000 მოსახლეზე იმ სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობით, რომლებიც შშმ სტატუსის დადგენის მიზნით ახორციელებს სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზას, ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს რეგიონებში ბოლოდან მეორე პოზიციაზე იმყოფება. წალკის, დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ამგვარი დაწესებულებები საერთოდ არ ფუნქციონირებს, რის გამოც მოსახლეობას სტატუსის მისაღებად სხვა მუნიციპალიტეტებში უწევს წასვლა, რაც დიდ ფინანსურ და დროით რესურსთან არის დაკავშირებული.
  - დღის ცენტრისა და ადრეული განვითარების ქვეპროგრამების ფარგლებში, ქვემო ქართლში სერვისპროვაიდერების მიერ გამოყოფილი ადგილებისა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ ბავშვების რაოდენობის შეფარდება მკვეთრად დისპროპორციულია და არსებული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს სხვა რეგიონებს. ქვეპროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ადგილები იმ რეგიონების მაჩვენებლებსაც ჩამორჩება, რომელთა ტერიტორიაზეც შშმ ბავშვების გაცილებით მცირე რაოდენობა ცხოვრობს. გარდა ამისა, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებში მოცემული ქვეპროგრამები საერთოდ არ ფუნქციონირებს. ამის გამო შშმ ბავშვების ოჯახის წევრები ტრანსპორტირების მთელ ტვირთს თვითონ იღებენ, რაც დიდ ფინანსებსა და დროსთან არის დაკავშირებული.
  - სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლში მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების (ე.წ. ქოუჩის) მომსახურებაში ჩართულ შშმ პირთა რაოდენობა და რეგიონში მცხოვრები შშმ პირების საერთო რაოდენობასთან მისი შეფარდება დაბალია

და საქართველოს არაერთ რეგიონს (აჭარის ა/რ, კახეთი, იმერეთი, თბილისის მუნიციპალიტეტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) ჩამორჩება.

## რეკომენდაციები

იმ არაერთი ბარიერის გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი შშმ პირები დგანან, არსებითია, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გონივრულ ვადებში გადადგას შესაბამისი ნაბიჯები:

- კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტებში აღიაროს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირები, როგორც სახელმწიფოში ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი და უგულბებლყოფილი ჯგუფი, გამოავლინოს მათი საჭიროებები და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასახოს მათ წინაშე არსებული ბარიერების აღმოფხვრის მოკლე და გრძელვადიანი გეგმა;
- შეიმუშაოს თანმიმდევრული საინფორმაციო პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების, მათ შორის, შშმ პირების, სისტემატური და სრულყოფილი ინფორმირების ვალდებულებას. ამ პოლიტიკამ უნდა მოიცვას სახელმწიფოს ვალდებულება, მოახდინოს ამ ჯგუფის მშობლიურ ენაზე ინფორმირება შშმ პირთა უფლებების, არსებული სერვისებისა და ინიციატივების, სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებების, უფლებადარღვევების შემთხვევაში გასაჩივრების მექანიზმების შესახებ;
- შეიმუშაოს შშმ პირებისათვის ინფორმაციის მისაწვდომობის ერთიანი სტანდარტი, რომელიც ყველა საჭიროებისა და ლინგვისტური კუთვნილების შშმ პირებისათვის გაითვალისწინებს ინფორმაციაზე დაუბრკოლებლად წვდომის საკითხს;
- ინფორმაციის მისაწვდომობის ერთიანი სტანდარტის შემუშავებამდე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებისათვის უზრუნველყოს უფასო, პროფესიონალი თარჯიმნის მომსახურება სახელმწიფო უწყებებთან, სამედიცინო დაწესებულებებთან (განსაკუთრებით, იმ დაწესებულებებთან, რომლებიც არიან სტატუსის მინიჭებაზე პასუხისმგებლები), ასევე სოციალურ მუშაკებთან კომუნიკაციის პროცესში. ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნებისათვის, ასევე, მაქსიმალურად წაახალისოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმება მოცემულ უწყებებში/ინსტიტუტებში;
- უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე, მის სისტემაში შემავალი შესაბამისი სსიპ-ების, მათ შორის, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ვებგვერდებზე, სულ მცირე, მოქალაქეთათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობის ენებზე;
- შშმ პირებთან დაკავშირებით დაიწყოს სტატისტიკური მონაცემების ეთნიკური კუთვნილების ნიშნით დამუშავება და უზრუნველყოს მასზე საჯარო წვდომა;

- უზრუნველყოს ცენტრალურ დონეზე არსებულ მექანიზმებში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების ჩართვა და ეფექტიანი მონაწილეობა, რაც იქნება ამ ჯგუფის საჭიროებებისა და პერსპექტივების გათვალისწინების წინაპირობა შშმ პირთა მიმართ პოლიტიკის ცვლილების პროცესში;
- შშმ პირთათვის სტატუსის მინიჭების სოციალურ მოდელზე გადასვლამდე, მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყოს სტატუსის მაძიებელი ან სტატუსის ცვლილების მსურველი პირებისათვის სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიული მისაწვდომობა, 1. მუნიციპალიტეტებში პასუხისმგებელი დაწესებულებების ამუშავების, 2. სხვა მუნიციპალიტეტში უფასო ტრანსპორტირების, ან 3. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიიდან მუნიციპალურ ცენტრამდე (დაწესებულებამდე) უფასო ტრანსპორტირების გზით;
- უზრუნველყოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების ზრდა და განსაკუთრებით, დღის ცენტრებისა და ადრეული განვითარების ქვეპროგრამების ყველა მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მისაწვდომ ყველა ენაზე ფუნქციონირება. ამის სრულად განხორციელებამდე, მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყოს შშმ პირებისათვის სერვისების გეოგრაფიული მისაწვდომობა, 1. სხვა მუნიციპალიტეტში უფასო ტრანსპორტირების, ან 2. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიიდან მუნიციპალურ ცენტრამდე (სერვისამდე) უფასო ტრანსპორტირების გზით;
- გააძლიეროს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მექანიზმების დანერგვა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირების პროაქტიური ჩართვა;
- უზრუნველყოს შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების უფლებებთან, მათ გამოწვევებთან, რეაგირებისა და თემთან კომუნიკაციის სტანდარტებთან დაკავშირებით სპეციალისტების გადამზადების შესაბამისი პროგრამების შექმნა და პირველადი ჯანდაცვის რგოლის, სტატუსის მინიჭებაზე პასუხისმგებელი სამედიცინო დაწესებულებების, სოციალური მუშაკების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების სისტემური და სისტემატური გადამზადება.